შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№20 (9.979)

12 - 19 ივნისი 2021 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

დილემა: ოჯახი თუ...

ლუკა მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა. მშობლები, დედაც და მამაც ოგლები იყვნენ, არაფერი ეგადათ. მსგავსმა ბედმა და წარსულმა ერთმანეთს დააკავშირა. უსახსრობის გამო განათლება ვერც ერთმა მიიღო. ახალგაზრდა ოჯახი სახელმწიფოს ზრუნვის ქოლგის ქვეშ ცხოვრობდა. სოციალური შემწეობის წყალობით თავი კი გაჰქონდათ, მაგრამ შვილებს ვერც უზრუნველ აწმყოს და ვერც მომავალს სთავაზობდნენ.

ლუკა მეექვსე შვილი იყო. ბავშვი დაბადებიდან გამოირჩეოდა გონიერებით. თამაშის დროსაც კი განსხვავებულ ინტერესებს ავლენდა. უფროსი დისგან მალევე ისწავლა წერა-კითხვა და ანგარიში. მშობლებს უხაროდათ გონიერი შვილის ყოლა, თუმცა დარდობდნენ, რომ შესაფერის განათლებას ვერ მისცემდნენ.

ნათესავი, რომელიც ერთხელ მათთან სტუმრად იმყოფებოდა, მოიხიბლა ლუკას უნარებით და მშობლებს ურჩია, ბავშვი სასულიერო პანსიონატში წაეყვანათ. თვითონ დაეხმარა და ლუკა სანდო ადამიანებს ჩააბარეს. აქ მეუფე ხშირად მიდიოდა მათთან, ბავშვებს ეფერებოდა და თითოეული მათგანის ბედით ინტერესდებოდა. ლუკას ძალიან შეუყვარდა მეუფე. დიდ პატივს სცემდა. მასწავლებლებიც უყვარდა. მართალია, ზოგიერთს აღზრდის ძველი მეთოდი ჰქონდა და ბავშვებთან ზედმეტ სიმკაცრესაც იჩენდა, მაგრამ იყვნენ ისინიც, ვის გამოც ყველაფრის ატანა ღირდა. ..

პანსიონატის დამთავრების შემდეგ წარჩინებულ მოსწავლეებს უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების რეალური შანსი ეძლეოდათ. მათთვის საერთო საცხოვრებელი იყო, სადაც სტუდენტები უფასოდ ცხოვრობდნენ. მოკლედ, ამ პანსიონატის აღსაზრდელებს მომავალი გარანტირებული ჰქონდათ: მეტი რა შეიძლება მისცე ბავშვს-კარგი აღზრდა, განათლება და მომავალი პროფესია.

ლუკამ პანსიონატის დასრულების შემდეგ უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა. მომავლის იმედი ჰქონდა. მეუფესთანაც ახლოს იყო. მის გამო ბევრ რამეს ითმენდა. ახლაც და მაშინაც, როცა მცირეწლოვანს მასწავლებლები მკაცრად სჯიდნენ. ზოგჯერ დაუმსახურებლადაც. მაშინ ეს ჩვეულებრივ ამბად მიაჩნდა.

ერთხელ, გარდატეხის ასაკში, ოდნავ წამოზრდილი თმის გამო აღმზრდელმა საშინელი სილა გააწნა. იმ სილისა და საყვარელი გოგოს თვალწინ დამცირების სიმწარე გუშინდელივით ახსოვს. საკუთარ უსუსურობას ღამით ბალიშს უამბობდა და ბოღმას ცრემლებში ახრჩობდა.

საკუთარი შეურაცხყოფა ბევრჯერ უხმოდ აუტანია, მაგრამ ახლა სხვა, მასზე ბევრად პატარა აღსაზრდელების ჩაგვრა ვეღარ ჩაყლაპა და პროტესტი გამოთქვა.

თუმცა, პანსიონატის იდილია მანამდე დაირღვა, ვიდრე ლუკა ხმას ამოიღებდა. თავადაც იცის, რომ ხმის ამოღებით, მომავლით გარისკა.

„იმ ექვს ბავშვს, რომლებიც ყველაფერზე მაღლა დადგნენ და ხმა აიმაღლეს, მერე ყველა უშვერი სიტყვებით მოიხსენიებდა. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, რომ მე, სრულწოვანს, მხარი დამეჭირა არასრულწლოვნებისთვის, რომლებსაც ასე მოიხსენიებენ.

ჩვენ, ბავშვები, დაბოღმილები ვიყავით, იმიტომ რომ არავინ მომკითხავი არ გვყავდა და ვერსად მივდიოდით, ჩვენს პატრონობას მასწავლებლები იჩემებდნენ, მეუფის სახელს ამოფარებულები აკეთებდნენ ყველაფერს ცუდს და გვაყვედრიდნენ იმ მატერიულ სახსრებს, რომლებიც მეუფემ მოიზიდა. მე უფროსი ვარ და ის მასწავლებლები, რომლებიც ჩემ მიმართ სისასტიკეს იჩედნენ, ძირითადად აღარ არიან იქ, მაგრამ ერთიორი კიდევ არის.

ახლა მწერს ბევრი: ლუკა, მადლობა, შენგან არ ველოდით ამ მხარდაჭერას, - მეუბნებიან და მხოლოდ ეს სიტყვებიც საკმარისია, რომ ეს ყველაფერი სწორად ჩავთვალო.

ჩემთან სოლიდარობის ნიშნად კიდევ ორმა ბავშვმა დატოვა უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელი. გამოგვიშვეს სიმართლისთვის. თუ მცდარი ვიქნებოდი, შევეგუებოდი გამოშვებას, თუ სიმართლეს დაადგენდა... მაშინ რატომ მიშვებენ, რისთვის? მცდარი არ ვართ არავინ“.

***

პანსიონატში მიმდინარე მოვლენებს ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად აფასებს ბევრი. მეუფე სპირიდონი არცერთ არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობას არ აპირებს და მათ უნდობლობას უცხადებს. საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი, დეკანოზი ანდრია ჯაღმაიძე ნინოწმინდის ბავშვთა პანსიონის გარშემო განვითარებულ მოვლენებს “პროპაგანდისტულ შტურმად” აფასებს და აცხადებს, რომ ეს პირდაპირ კავშირშია ივლისში დაანონსებული ლგბტ კვირეულის ორგანიზებასთან.

მისი თქმით, აღნიშნული შესავალი ეტაპია,რაც ეკლესიის დისკრედიტაციას ემსახურება.”ნინოწმინდის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლის მიმართ მიმდინარე გაუგონარი პროპაგანდისტული შტურმი, თავისი ბუნებით და დროის მიხედვით, პირდაპირ კავშირშია ივლისში დაანონსებული ე.წ. ლგბტ კვირეულის ორგანიზებასთან. ეს არის შესავალი და მოსამზადებელი ეტაპი, რაც ემსახურება ეკლესიის დისკრედიტაციას მოსახლეობის ფართო მასებში”, - წერს ჯაღმაიძე საკუთარ ფეისბუქ გვერდზე.

იდეა, რომელიც კეთილ მიზნებს ემსახურებოდა, ზოგიერთის არასათანადო ქცევას უნდა შეეწიროს.

დღეს დილემის წინაშე ვართ ყველა: რა არის სწორი- ბავშვების ოჯახური ტიპის სახლებში განაწილება, მინდობით აღზრდაში, ოჯახებში გაშვილება თუ ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება?

საკუთარ ოჯახს რომ ალტერნატივა არ აქვს, ფაქტია, მაგრამ მისი შემცვლელების ძებნას ხომ მაშინ იწყებენ, როცა მშობლებს შვილების მიხედვა აღარ შეუძლიათ...

როდის აღარ იქნება დილემის წინაშე ქართული საზოგადოება? - პასუხი მარტივია:მაშინ, როცა ქართულ ოჯახს ეკონომიკური სიდუხჭირე აღარ შეაწუხებს...

მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

C M Y K

იურიდიული დახმარების საკონსულტაციო ცენტრი გაიხსნა

8 ივნისს, იურიდიული დახმარების სამსახურის რიგით 26-ე საკონსულტაციო ცენტრი დედოფლისწყაროში გაიხსნა. ამიერიდან, მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის უფასო სამართლებრივი დახმარება კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გახდება. საკონსულტაციო ცენტრში შესაძლებელი იქნება იურიდიული კონსულტაციის მიღება ნებისმიერი პირისთვის ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე.

დავით ფხოველიშვილი: „მნიშვნელოვანი სიახლეა დედოფლისწყაროსთვის უფასო იურიდიული სამსახურის გახსნა. ამ სერვისისთვის მოსახლეობის ნაწილი მუნიციპალიტეტის გარეთ გადიოდა. ამიერიდან ისინი იურიდიულ დახმარებას კომპეტენტური პირისგან მიიღებენ“.

ცენტრში იმუშავებს ერთი იურისტ-კონსულტანტი და ის სამართლებრივ რჩევებს გასცემს სხვადასხვა საკითხზე. მათ შორის: სოციალურად დაუცველთა უფლებები, საბანკო ურთიერთობები, მიწის და უძრავი ქონების რეგისტრაცია, მემკვიდრეობა, შრომითი დავები, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა, მხარდამჭერად დანიშვნის საკითხები და სხვა აქტუალური პრობლემები.

ოფისის გახსნის ოფიციალური ცერემონიის შემდეგ ღია ცის ქვეშ, სოციალური დისტანციის დაცვით, გაიმართა შეხვედრა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის, საკრებულოს წარმომადგენლებთან და სოფლების რწმუნებულებთან.

შეხვედრაზე იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა რაჟდენ კუპრაშვილმა ადგილობრივებს გააცნო იურიდიული დახმარების სამსახურის სერვისები, უფასო სამართლებრივი დახმარების მიღების კრიტერიუმები, წარმოდგენილი იყო პრეზენტაცია რეგიონისთვის მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხებზე.

რაჟდენ კუპრაშვილი, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი: „მინდა, ადგილობრივ თვითმმართველობას დიდი მადლობა გადავუხადო იმისათვის, რომ საშუალება მოგვცა, რეგიონში იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლობა გაგვეხსნა. ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად საოფისე ფართი გადმოგვეცა, ჩვენ ჩავატარეთ სარემონტო სამუშაოები და დღეს გავხსენით საკონსულტაციო ცენტრი. იურიდიული დახმარების სამსახური უფასო სამართლებრივ დახმარებას გაუწევს მოსახლეობას. იურიდიული სამსახური არის დამოუკიდებელი სიპი, და საქართველოს პარლამენტთან ვართ ანგარიშვალდებული. სამსახური არის კვალიფიციური ადვოკატებით დაკომპლექტებული, 13 რაიონში ვართ წარმოდგენილი ბიუროების სახით, და საკონსულტაციო ცენტრების სახით, წლის ბოლომდე უკვე 45 მუნიციპალიტეტში ვიქნებით.

რას ნიშნავს საკონსულტაციო ცენტრი?

ჩვენი ძირითადი მომსახურება ეხება სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს. რომლებსაც აქვთ საშუალება, უფასო სამართლებრივი კონსულტაცია და საადვოკატო მომსახურება მიიღონ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით. მაგრამ რაც შეეხება კონსულტაციებს, ის ყველასთვის უფასო იქნება. ჩვენი წარმომადგენელი ამ ეტაპზე იქნება სიღნაღის ბიუროს წარმომადგენელი, თუმცა, სამომავლოდ, იგეგმება ადგილობრივი კადრის შერჩევა“.

გიორგი ევსტაფიშვილი: „ამ სამსახურის მიზანია, მოქალაქეებისთვის იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის გაზრდა. სამსახურს აქვს თავისი ფუნქცია და განვითარების სტრატეგია. მთავარი ფუნქციაა, იყოს სამართლებრივი მომსახურება კვალიფიციური და ხარისხიანი, ამოსავალი პრინციპი კი დისკრიმინაციის აღმოფხვრაა“.

დღეის მდგომარეობით, ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებს იურიდიული დახმარების სამსახურის 13 ბიურო და 25 საკონსულტაციო ცენტრი. აქამდე დედოფლისწყაროს მოსახლეობას უფასო სამართლებრივი კონსულტაციის მიღება შეეძლო სიღნაღის იურიდიული დახმარების ბიუროში. 8 ივნისიდან კი იურისტ-კონსულტანტი დედოფლისწყაროშიც იმუშავებს.

იურიდიული დახმარების სამსახური ნებისმიერ მოქალაქეს უფასო სამართლებრივ კონსულტაციას გაუწევს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში 70 000 -ზე ნაკლები სოციალური ქულის მქონე მოქალაქეებს ცენტრის ადვოკატი ანაზღაურების გარეშე მოემსახურება.

საწყის ეტაპზე იურიდიული დახმარების სამსახურის კონსულტანტი მოქალაქეებს მიიღებს ყოველ სამშაბათს , ხოლო სატელეფონო მომსახურებას ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, სამუშაო საათებში გაუწევს.

მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, კოსტავას ქ.44 ადმინისტრაციული შენობის პირველი სართული.

სამსახურის კონსულტანტი გიორგი ევსტაფიშვილი, ტელ: 568 08 25 88, 557 75 03 74

„სტაბილურობა გაღრმავდება - ეს ჩვენი მთავარი იარაღია, რომ ევროკავშირს დავუახლოვდეთ“

„ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ასეთი მყარი მეგობარი გვყავს, რომელიც მოგვყვება რთულ გზაზე“, - ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა ლიეტუველ კოლეგა, გიტანას ნაუსედასთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა მას საქართველოში ვიზიტისთვის და იმედი გამოთქვა, რომ საქართველოსა და ლიეტუვას შორის პარტნიორობა კიდევ უფრო გაძლიერდება.

„მოხარული ვარ, რომ დღეს იმყოფებით საქართველოში. ეს არის თქვენი პირველი ვიზიტი ამ ქვეყანაში და პირველი ვიზიტისთანავე მოვაწერეთ ხელი ერთობლივ განცხადებას, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს და აღრმავებს ორივე ქვეყნის ურთიერთობას, თქვენი ქვეყნის მხარდაჭერას საქართველოს ევროკავშირისა და ნატო-ს მამართულებით ინტეგრაციას. ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ვიცით, ასეთი მყარი მეგობარი გვყავს, რომელიც მოგვყვება ამ რთულ გზაზე. მნიშვნელოვანია ეს ვიზიტი. ჩვენ განვიხილეთ ეს საკითხები ჩვენი საუბრის დროს. ეს წელი საქართველოსთვის პოლიტიკურად მნიშვნელოვანი წელია. ამაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ევროკავშირმა, ჩვენ დავძლიეთ შიდა პოლიტიკური კრიზისი, ეს იყო ნიშანი იმისა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ევროკავშირისთვის საქართველოს პოლოტიკური სტაბილურობა. ეს ნიშანი არასდროს უნდა დავივიწყოთ. ასევე მნიშვნელოვანია ეს წელი საქართველოს შიდა პოლიტიკური სივრცის თვალსაზრისით, რამეთუ ჩვენ გვექნება არჩევნები ოქტომბერში და აქაც უნდა ვაჩვენოთ, რომ ეს სტაბილურობა კიდევ უფრო გაღრმავდება და ეს ჩვენი მთავარი იარაღია იმისთვის, რომ დავუახლოვდეთ და ინტეგრაცია მოვახდინოთ ევროკავშირში. ეს წელი მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ სამწუხაროდ, ოკუპაციის კუთხით არათუ ვხედავთ რაიმე ნიშანს დეესკალაციის, არამედ პირიქით, გრძელდება პროვოკაციები საოკუპაციო ხაზზე, გრძელდება ადამიანების გატაცებები, ზაზა გახელაძე ამის სამწუხარო მაგალითი. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პრეზიდენტმა ისურვა და გუშინვე დაათვალიერა საოკუპაციო ხაზი, შეხვდა ადამიანებს და გაეცნო მათ ძალიან მძიმე მდგომარეობას“, - განაცხადა ზურაბიშვილმა.

მისი თქმით, შეხვედრისას საუბარი შეეხო საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების განმტკიცებას და ქვეყნებს შორის სტაბილურობას.

„ევროკავშირთან და ნატო-სთან მიმართებით ძალიან სერიოზული ნაბიჯები გვაქვს წელს, ნატო-ს სამიტი იმართება 14 ივნისს, მომავალ კვირას. ვისაუბრეთ იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იქნება, რომ საქართველო-უკრაინის და ღია კარის პოლიტიის საკითხი იყოს ამ სამიტის ფარგლებში ნახსენები. ასევე, მივიღოთ იმის ნიშნები, თუ რა გზით და რა ფორმით ვაგრძელებთ ევროინტეგრაციისკენ გზას“, – განაცხადა ზურაბიშვილმა.

ფინანსთა მინისტრი - პანდემიის გავლენა 2020-2021 წლების ბიუჯეტზე 7.2 მილიარდი ლარია

პანდემიის გავლენა 2020-2021 წლების ბიუჯეტზე - 7.2 მილიარდი ლარია, - ამის შესახებ საქართველოს პარლამენტში „მინისტრის საათის“ ფორმატში სიტყვით გამოსვლისას ფინანსთა მინისტრმა, ლაშა ხუციშვილმა განაცხადა. ხუციშვილმა სიტყვით გამოსვლისას ისაუბრა, თუ რა გავლენა იქონია გლობალურმა პანდემიამ ქვეყნის ბიუჯეტზე და აღნიშნა, რომ ეკონომიკური კლება აისახა ბიუჯეტის შემოსავლებზე, გაიზარდა ჯანდაცვის ხარჯები.

„მნიშვნელოვანი ინტერვენცია მოვახდინეთ ბიზნესის მხარდასაჭერად, რომლის მიზანი იყო შეგვენარჩუნებინა კომპანიების სიცოცხლისუნარიანობა და თუნდაც შემცირებული ბრუნვებით, გაგვეყვანა პოსტპანდემიურ, ეკონომიკური აღდგენის პერიოდამდე, რათა მათ იოლად შეძლებოდათ აღედგინათ სრული სიმძლავრეები,“ - აღნიშნა ლაშა ხუციშვილმა. მისი თქმით, ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იყო სწორი და ეფექტური სოციალური დაცვის სისტემის ამოქმედება, რაც მოხერხდა სოციალური პროგრამების შემუშავებით.

„გადასახადების დანაკლისმა 1.9 მილიარდი შეადგინა; ჯანდაცვის ხარჯებმა 0.9 მილიარდი; ბიზნესის მხარდაჭერამ - 3,0 მილიარდი ლარი. მოქალაქეთა სოციალური დაცვის ღონისძიებებმა 1.3 მილიარდი; ჯამში, 2020-2021 წლების ბიუჯეტს პანდემია 7.2 მილიარდი ლარი დაუჯდა“, - განაცხადა ფინანსთა მინისტრმა.

ფინანსთა მინისტრი - პანდემიის გავლენა 2020-2021 წლების ბიუჯეტზე 7.2 მილიარდი ლარია

პანდემიის გავლენა 2020-2021 წლების ბიუჯეტზე - 7.2 მილიარდი ლარია, - ამის შესახებ საქართველოს პარლამენტში „მინისტრის საათის“ ფორმატში სიტყვით გამოსვლისას ფინანსთა მინისტრმა, ლაშა ხუციშვილმა განაცხადა.

ხუციშვილმა სიტყვით გამოსვლისას ისაუბრა, თუ რა გავლენა იქონია გლობალურმა პანდემიამ ქვეყნის ბიუჯეტზე და აღნიშნა, რომ ეკონომიკური კლება აისახა ბიუჯეტის შემოსავლებზე, გაიზარდა ჯანდაცვის ხარჯები.

„მნიშვნელოვანი ინტერვენცია მოვახდინეთ ბიზნესის მხარდასაჭერად, რომლის მიზანი იყო შეგვენარჩუნებინა კომპანიების სიცოცხლისუნარიანობა და თუნდაც შემცირებული ბრუნვებით, გაგვეყვანა პოსტპანდემიურ, ეკონომიკური აღდგენის პერიოდამდე, რათა მათ იოლად შეძლებოდათ აღედგინათ სრული სიმძლავრეები,“ - აღნიშნა ლაშა ხუციშვილმა.

მისი თქმით, ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იყო სწორი და ეფექტური სოციალური დაცვის სისტემის ამოქმედება, რაც მოხერხდა სოციალური პროგრამების შემუშავებით.

„გადასახადების დანაკლისმა 1.9 მილიარდი შეადგინა; ჯანდაცვის ხარჯებმა 0.9 მილიარდი; ბიზნესის მხარდაჭერამ - 3,0 მილიარდი ლარი. მოქალაქეთა სოციალური დაცვის ღონისძიებებმა 1.3 მილიარდი; ჯამში, 2020-2021 წლების ბიუჯეტს პანდემია 7.2 მილიარდი ლარი დაუჯდა“, - განაცხადა ფინანსთა მინისტრმა.

„მომავალი სასწავლო წლის გეგმები ამბიციურია“

პანდემიური წლის, დისტანციური სწავლების, გევრი პრობლემისა და, ამის მიუხედავად, უამრავი მიღწეული წარმატების ფონზე, დასრულდა 2020-21 სასწავლო წელი. გაზეთ „შირაქის“ რედაქცია დაინტერესდა როგორი იყო ეს სასწავლო წელი ჩვენი მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებისა და მოსწავლეებისთვის. ინტერვიუსთვის ვეწვიეთ საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელს ქალბატონ ეთერ ზურიკაშვილს.

როგორ დაამთავრეთ სასწავლო წელი?

მოგეხსენებათ, რომ 2020-2021 საწავლო წელი საკმაოდ რთული იყო როგორც მოსწავლეებისთვის, ისე მასწავლებლებისთვის. პირველი სემესტრი თითქმის ყველა სკოლამ დისტანციურად დაამთავრა, ოქტომბრის თვიდან მომძლავრებული პანდემიის პირობებში. მეორე სემესტრი კი გაცილებით უკეთესი იყო იმით, რომ საკლასო ოთახებში გაგრძელდა სწავლა ყველა რეგულაციის დაცვით. კოვიდის აღმოჩენის შემთხვევებში წერტილოვნად იკეტებოდა სკოლები 10-12 დღე. უნდა ითქვას, რომ ჩვენმა მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა ეს რთული პერიოდი გადალახეს. უკვე თიმსში ტარდებოდა გაკვეთილები. იყო შეფერხებებიც, ზოგ მოსწავლეს ინტერნეტის ან კომპიუტერის პრობლემა ჰქონდა, მაგრამ სკოლის დირექტორები და პედაგოგები მყისიერად აგვარებდნენ ამ საკითხს. შესაბამისად, ეს სასწავლო წელი, წარმატებულად თუ არა, მაინც კარგად დავამთავრეთ.

ბოლო ორი წელია ყველა ვდგავართ პანდემიისგან გამოწვეული პრობლემების წინაშე. რა იყო ის მთავარი გამოწვევა, რომლის წინაშეც დადექით ბოლო პერიოდში?

მთავარი გამოწვევა პანდემიის პირობებში იყო ინტერნეტის პრობლემა. ზოგჯერ მოსწავლეთა ჩართულობაც. თუმცა, მაქსიმალურად ვცდილობდით პრობლემის მოგვარებას.

ონლაინ სწავლებამ ხომ არ შეუშალა ხელი ეროვნული სასწავლო გეგმის სრულყოფილ დასრულებას?

ონლაინ სწავლებას ეროვნული სასწავლო გეგმის სრულყოფილ შესრულებაში ნამდვილად ხელი არ შეუშლია. სკოლებში ინერგება ახალი, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა, რის მიხედვითაც შეუძლიათ მოარგონ ეს სასწავლო გეგმა თავისი სკოლის საჭიროებას.

რამდენი მედალოსანი მოსწავლე გვყავს მუნიციპალიტეტის მასშტაბით?

წელს 279 მოსწავლემ დაამთავრა თორმეტი კლასი. მუნიციპალიტეტში სულ 27 მედალოსანი გვყავს. 20 ოქროსი და 7 ვერცხლის. აქედან: **1**. დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლაში (7) 6 ოქრო 1 - ვერცხლი, **2**. სამრეკლოს სკოლა 2 ოქრო, **3**. ზ/მაჩხაანიის სკოლა-3 ოქრო, **4**. ზ/ქედის N1 სკოლა (3) 2 ოქრო, 1 ვერცხლი, **5**.ზ/ქედის N2 სკოლა 4 ოქრო, **6**. არხილოსკალოს სკოლა 4 ოქრო, **7**. ქვ.ქედის სკოლა (3) 1ოქრო, 2 ვერცხლი, **8**. არბოშიკის საჯარო სკოლა 3 ვერცხლი.

მინდა ვუსურვო ამ მედალოსნებს, რომ გაემართლებინოთ სკოლიდან წაღებული ეს ჯილდო და რაც შეიძლება მეტი გრანტი აეღოთ.

რა აქტივობებს გამოარჩევდით ამ სასწავლო წლის განმავლობაში? რომელს გამოარჩევდით განსაკუთრებით?

მიუხედავად ასეთი პანდემიისა, სკოლებში ხორციელდებოდა სხვადასხვა აქტივობები და აქტიურად იყვნენ ჩართული ჩვენი მოსწავლეები. ეს აქტივობები ძირითადად ონლაინ ტარდებოდა, მაგრამ ჩვენმა მოსწავლეებმა წარმატებები მოიპოვეს. განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ბლოგების კონკურსში „ჩვენი ენა ქართული“ გაიმარჯვა და საქართველოს მასშტაბით პირველი ადგილი დაიკავა (800 ლარიანი ტექნიკის ვაუჩერი) ზ/მაჩხაანის საჯარო სკოლამ (მოსწავლე ჯაბა ჯამასპიშვილი, ალექსანდრე ნასრაშვილი და ლიზი ყოჩიაშვილი)

„ვირტუალური საკვირაო სკოლა“ მიმდინარეობდა ქვეყნის მასშტაბით. წარმატებული აღმოჩნდა ჩვენი საჯარო სკოლებისათვის. ესეების კონკურსში ზ/მაჩხაანის სკოლის მოსწავლემ ჯაბა ჯამასპიშვილმა საპრიზო ადგილი დაიკავა. დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა: მარიამ მხეიძემ და ანა ფიროსმანაშვილმა ფოტოკონკურსში, აქტიურად იყვნენ ჩართული დედოფლისწყაროს N2, ზ/ქედის N2, არხილოსკალოს საჯარო სკოლები.

ყველა სკოლა იყო ჩართული დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის მიერ გამოცხადებულ კონკურსში „ახალგაზრდები კოვიდ 19-ის წინააღმდეგ“. პირველი ადგილი აიღო და 900 ლარიანი ვაუჩერი დაიმსახურა ზ/მაჩხაანის სკოლამ. მეორე და მესამე ადგილები დაიმსახურეს დედოფლისწყაროს N1 და N2 საჯარო სკოლებმა. ვაუჩერით შეიძინეს წიგნები და ბიბლიოთეკები შეავსეს ახალი მხატვრული ლიტერატურით. „ახალგაზრდული იდეის“ პროექტებში ზ/მაჩხაანის სკოლას ორი პროექტი დაუფინანსდა 1600 ლარით, დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლას 800 ლარიანი ვაუჩერით. სკოლები აქტიურად არიან ჩართული „ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია 2021“-ში. დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლის ეკოკლუბის მუშაობით დაინტერესდა „აჭარის“ და „იმედის“ ტელევიზია. ჩაიწერა სიუჟეტი ეკოკლუბზე.

ახალგაზრდა პედადგოგთა კავშირის ინიციატივით გაკეთებულ პროექტში „ვისაუბროთ კულტურულ მემკვიდრეობაზე“ გაიმარჯვა დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლამ. მათ მიერ მომზადებული მასალა აისახა ინტერაქტიულ რუკაზე. სკოლის ეზოში გაკეთდა „კლასი ღია ცის ქვეშ“.

სკოლებმა ასევე მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ფოსტის მიერ გამოცხადებულ „წერილის წერის“ კონკურსში. არხილოსკალოს საჯარო სკოლის მოსწავლის მარიამ ზაქაიძის წერილი მოხვდა საუკეთესო წერილებს შორის და ჯილდო დაიმსახურა.

დებატების რეგიონალურ კონკურსში 125 გუნდიდან არხილოსკალოს საჯარო სკოლის გუნდი მოხვდა და გადავიდა ნაციონალურ ტურში, რომელიც 15 ივნისს დაიწყება.

სკოლები აქტიურად ჩაერთვნენ („Georgia Tide“-დავიცვათ საქართველოს სისუფთავე) გამოცხადებულ კონკურსში. „ეკოგმირის“ შექმნაში არხილოსკალოს საჯარო სკოლის მოსწავლე აჩიკო ბუთხუზი დაჯილდოვდა სპეციალური პრიზით, ხოლო მე-12 კლასის მოსწავლემ მარიამ ბედოიძემ მიიღო 50%-იანი გრანტი, შავი ზღვის უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ ოლიმპიადაში. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ნახატების კონკურსში დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლამ დაიკავა პირველი და მეორე ადგილები. მე-6 კლასის მოსწავლემ ქეთევან ზურაშვილმა და მე-9 კლასის მოსწავლემ თამარ აღამონაშვილმა.

აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა აქტივობებში: არბოშიკის, გამარჯვების, ოზაანის, ხორნაბუჯის, ზ/ქედის N1 და N2, სამრეკლოს საჯარო სკოლები. „კინგსი“-ის, „ეტალონის“ პროექტებში. ერთ საგაზეთო სტატიაში ყველა პროექტზე საუბარი შეუძლებელია.

არ მინდა გამომრჩეს, რომ, არც უმცირესობათა წარმომადგენლები გვრჩებიან უყურადღებოდ. 8 მაისს ხორნაბუჯისა და დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლაში აღინიშნა ბოშათა მსოფლიო დღე. ბოშა ბავშვების მონაწილეობით ჩატარდა ღონისძიება, საჩუქრები გადასცეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა: მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ ნუგზარ პაპიაშვილმა.

მისაბაძია ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის თვითმმართველობის დაგეგმილი პროექტები და ღონისძიებები. თვითმმართველობის აქტიური ჩართულობით არაერთი ღონისძიება და პროექტი განხორციელდა. „ICSU-ზამთრის ლიდერთა დისტანციურ სკოლაში“ პირველი ადგილი დაიკავა გუნდმა. ინგლისური ენის „be hero“ ოლიმპიადაში კი ქვეყნის მასშტაბით ანა ჯამასპიშვილმა გაიმარჯვა.

თუ გქონდათ დაგეგმილი რამე აქტივობა, რომელიც დაგრჩათ განუხორციელებელი?

დაგეგმილი აქტივობები დაგვრჩა, იმიტომ, რომ ითვალისწინებდა უშუალო შეხვედრებს. იმედია, მომავალი სასწავლო წლიდან მოგვეცემა საშუალება, რომ ჩვენი დასახული გეგმები სისრულეში მოვიყვანოთ.

როგორია მომავალი სასწავლო წლის გეგმები?

მომავალი სასწავლო წლის გეგმები ამბიციურია, თუ კოვიდ სიტუაციას დავამარცხებთ და ხელი შეგვეწყობა.

მინდა შევაჯამო ჩვენი საუბარი, მადლობა გადავუხადო ამ მძიმე სასწავლო წლის პერიოდში სკოლების ადმინისტრაციას და პედაგოგებს დაუღალავი შრომისთვის. მშობლებს და მოსწავლეებს, ჩემს თანამშრომლებს განხორციელებული მონიტორინგისთვის, ადგილობრივი ჯანდაცვის სამსახურს. მადლობა მუნიციპალიტეტის მერსა და საკრებულოს თავმჯდომარეს გვერდში დგომისთვის. მადლობა განათლების სამინისტროს, სკოლებისთვის ყველა საჭირო სადეზინფექციო საშუალებით მომარაგებისთვის. იმედია, ახალი სასწავლო წელი პანდემიის გარეშე დაიწყება და განვახორციელებთ ჩვენს განუხორციელებელ გეგმებს.

გაზეთი „შირაქი“ უერთდება საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელის ქალბატონ ეთერ ზურიკაშვილის სურვილებს და იმედოვნებს, რომ სასწავლო დაწესებულებები განახლებული ენერგიით, უსაფრთხო გარემოში შეხვდებიან ახალ სასწავლო წელს.

ესაუბრა
ხათუნა ბენაშვილი

ერთიანი ეროვნული გამოცდები იწყება

სკოლის დამთავრების შემდეგ, უმაღლესი განათლების მიღების მსურველებისთვის, ალბათ, ყველაზე ამაღელვებელი და ემოციური ერთიანი ეროვნული გამოცდების მოახლოვება და მისი ჩაბარებაა. განრიგის მოლოდინი, გამოცდების წინა მღელვარება და მოსალოდნელი ცვლილებები – ამ ყველაფერთან გამკლავება აბიტურიენტებს უკვე პირველი ივლისიდან მოუწევთ.

2021 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდები, სწორედ პირველ ივლისს, ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდით დაიწყება. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (NAEC) ინფორმაციით, 14 ივლისიდან გამოცდებში მასწავლებლები და მასწავლებლობის მსურველი პირები ჩაერთვებიან. 28 ივლისს სტუდენტთა საგრანტო კონკურსი ჩატარდება, ხოლო საერთო სამაგისტრო გამოცდას მაგისტრანტობის კანდიდატები 27-30 ივლისს ჩააბარებენ.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის, სოფიო გორგოძის თქმით, გამოსაცდელები საგამოცდო ბარათების ამობეჭდვას საკუთარი სარეგისტრაციო გვერდიდან 20 ივნისის შემდეგ შეძლებენ. ბარათზე მოცემული იქნება ინფორმაცია გამოცდის თარიღის, გამოცდაზე გამოცხადების დროისა და საგამოცდო ცენტრის მისამართის შესახებ. გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, 2021 წელს გამოცდებში მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაციის სტატისტიკა ასეთია:

*ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის რეგისტრაცია 38 400-ზე მეტმა აბიტურიენტმა გაიარა;

*სტუდენტთა საგრანტო კონკურსში მონაწილეობის სურვილი 3 700-ზე მეტმა სტუდენტმა გამოთქვა;

*საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის 12 800-ზე მეტი მაგისტრანტობის კანდიდატი დარეგისტრირდა;

*მასწავლებლის საგნის გამოცდაზე, უფროსი სპეციალური მასწავლებლის გამოცდაზე, ასევე საგნობრივი და პროფესიული კომპეტენციების დასადასტურებლად რეგისტრაცია 28 700-ზე მეტმა მსურველმა გაიარა – ამ ჩამონათვალში არიან ის აპლიკანტებიც, რომლებიც 2020 წლის 30 აპრილის ჩათვლით დარეგისტრირდნენ საგნობრივი ან/და პროფესიული კომპეტენციების დადასტურების ტესტირებაზე.

“ტესტის დახვეწის მიზნით ცენტრი ყოველწლიურად ატარებს აპრობაციას - ცდის სხვადასხვა სახის დავალებებს. წელსაც გარკვეული ტიპის დავალებები გამოიცადა და ამ აპრობაციაში არაერთმა აბიტურიენტმა და გამსწორებელმა მიიღო მონაწილეობა. საცდელი ტესტირების შედეგები დამუშავების პროცესშია და მის საფუძველზე გაკეთებული დასკვნა მოგვცემს საშუალებას, ვთქვათ, თუ როგორი იქნება ტესტის საბოლოო სახე. ამის შესახებ ინფორმაცია დაზუსტებისთანავე, უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება” - განმარტა შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა. მათივე ინფორმაციით, 2021 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების საგამოცდო პროგრამები და დავალებათა ტიპები უცვლელი რჩება. რამდენიმე საგანში მხოლოდ გამოცდის ხანგრძლივობა და მაქსიმალური ქულა შემცირდება. ეს ცვლილება შეეხება 3 საგნის — მათემატიკის, ქიმიისა და ფიზიკის ტესტებს. სხვა საგნების ტესტებში ცვლილებები არ იგეგმება.

აღნიშნული ცვლილებები დეტალურად კი ასე გამოიყურება:

მათემატიკა

2021 წლის მათემატიკის ტესტში იქნება 35 (27 დახურული და 8 ღია ტიპის) დავალება, მაქსიმალური ქულა კი — 51. ღია დავალებები შედგენილი იქნება ორი ორქულიანი, ოთხი სამქულიანი და ორი ოთხქულიანი დავალებისაგან. ტესტის შესრულებისათვის გამოყოფილი დრო იქნება 3 სთ, მინიმალური ბარიერი კი — არანაკლებ 11 ქულისა (უმაღლეს სასწავლებლებს უფლება აქვთ უფრო მაღალი ბარიერი დააწესონ).

ფიზიკა და ქიმია

ფიზიკისა და ქიმიის ტესტებზე სამუშაოდ გამოყოფილი იქნება 3 საათი, ხოლო მაქსიმალური ქულა — 63.

შეგახსენებთ, რომ 2020 წელს ეროვნული გამოცდები ახალი ფორმით ჩატარდა. აბიტურიენტები სამ სავალდებულო გამოცდას შემდეგ საგნებში აბარებდნენ: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში; 2. უცხოურ ენაში. მესამე გამოცდა დამოკიდებული იყო პროგრამებზე, ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო მიმართულებებზე აბიტურიენტები მათემატიკას, ჰუმანიტარულზე - ისტორიას, ხოლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, სოციალური ან საზოგადოებრივი მეცნიერების არჩევისას, ისტორიას ან მათემატიკას აბარებდნენ. უმაღლესი სასწავლებლები სურვილის შემთხვევაში, მეოთხე გამოცდას შემდეგი საგნების ჩამონათვალიდან აწესებდნენ: ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა, ზოგადი უნარები, გეოგრაფია, ლიტერატურა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, სამოქალაქო განათლება. სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულებების ინიციატივის გათვალისწინებით ჯანდაცვის საგანმანათლებლო პროგრამებზე სავალდებულო ოთხი გამოცდა იყო: 1. ქართული ენა და ლიტერატურა; 2. უცხოური ენა; 3. ბიოლოგია; 4. მათემატიკა/ქიმია/ფიზიკა (აბიტურიენტი ირჩევს მინიმუმ ერთს). მეოთხე საგნისათვის გამოყოფილი იყო კვოტირებული ადგილები, თითოეულ საგანზე არანაკლებ 30%-ისა. (ინფორმაცია განახლებადია)

ერთიანი ეროვნული გამოცდების განრიგი ასე გამოიყურება:

1 ივლისი, 2 ივლისი, 5 ივლისი (პირველი და მეორე სესია) - ქართული ენა და ლიტერატურა;

1 ივლისი (პირველი სესია) - ოსური ენა;

1 ივლისი (პირველი სესია) - აფხაზური ენა;

6 ივლისი (პირველი სესია) - რუსული ენა;

6 ივლისი (პირველი და მეორე სესია) - ინგლისური ენა;

6 ივლისი (მეორე სესია) - ფრანგული ენა;

7 ივლისი (პირველი სესია) - რუსული ენა;

7 ივლისი (პირველი და მეორე სესია) - ინგლისური ენა;

8 ივლისი (პირველი სესია) - გერმანული ენა;

8 ივლისი (პირველი და მეორე სესია) - ინგლისური ენა;

9 ივლისი (პირველი და მეორე სესია) - მათემატიკა;

12 -13 ივლისი (პირველი და მეორე სესია) - ისტორია;

14 ივლისი (მეორე სესია) - ბიოლოგია;

15 ივლისი (მეორე სესია) - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება;

15 ივლისი (მეორე სესია) - ქიმია;

16 ივლისი (მეორე სესია) - გეოგრაფია;

19 ივლისი (პირველი და მეორე სესია) - ზოგადი უნარები;

20 ივლისი (პირველი სესია) - ფიზიკა;

20 ივლისი (პირველი სესია) - ლიტერატურა;

20 ივლისი (მეორე სესია) - ზოგადი უნარები;

2021 წელს საგამოცდო ცენტრები გაიხსნება: ბათუმში, ზუგდიდში, ქუთაისში, ფოთში, ახალციხეში, გორში, ოზურგეთში, თბილისში, რუსთავში, თელავში, ხულოში. NAEC-ში აცხადებენ, რომ გამოცდები 2021 წელსაც კოვიდპანდემიასთან დაკავშირებული ყველა რეგულაციის დაცვით ჩატარდება. ამ საკითხზე დეტალური ინფორმაცია კი ცენტრის ვებ და Facebook გვერდებზე გამოქვეყნდება.

მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

სოფლად დამსხვრეული საზოგადოებრივი სტერეოტიპები...

თამარ ყველაშვილი ცხოვრებისეულმა გამოწვევებმა სოფელ ოზაანში ჩამოიყვანა. თითქოს დროებით, თუმცა სამუდამოდ აქ დარჩენა გადაწყვიტა. მან სოფელში ბევრ სიახლეს დაუდო სათავე თავისი ცოდნა-გამოცდილებით, უნარებით და შრომისმოყვარეობით. შექმნა ახალი სერვისები საგანმანათლებო და სამშენებლო გიზნესის მიმართულებით, რისთვისაც იყენებს ინოვაციურ მეთოდოლოგიებს და ტექნოლოგიებს.

როგორია ინოვატორი ქალის ცხოვრება, ამაზე თავად თამარი გვესაუბრება. რამდენიმე კითხვა პორტრეტისათვის...

- თქვენი სისუსტე...

შვილები

-საყვარელი წიგნი, მწერალი, ნაწარმოები...

შარლოტა ბრონტეს „ჯეინ ეარი“, როგორც მტკიცე ხასიათის ქალის სახე; ნოდარ დუმბაძე, რომელმაც ზენიტში აიყვანა იუმორი მწერლობაში; ნოდარ დუმბაძის თითქმის ყველა რომანი.

- საყვარელი მუსიკა, კომპოზიტორი...

საოპერო კლასიკური მუსიკა, შოპენი.

- ხელახლა რომ დაიწყოთ ცხოვრება, რას შეცვლიდით?

ჩემი ცხოვრების არც ერთ წამს არ შევცვლიდი, იმის მიუხედავად, რომ ბევრი რთული მომენტები მქონია.

- თქვენი ყველაზე დიდი სიმდიდრე...

შვილები და ცოდნა

- როდესაც გიხარიათ...

როდესაც მიხარია, პირველი, მადლობას ვუხდი ღმერთს

- როდესაც გწყინთ...

ვსვამ ცივ წყალს და მალე ვივიწყებ

- თქვენი ჰობი...

კულინარია, სიმღერა

- ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი...

ადრე ამ კითხვაზე სხვა პასუხი მექნებოდა, მაგრამ ეხლა ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ჩემი შვილების ჯანმრთელობა.

- ყველაფერი ფერმკრთალდება, როცა...

სიცოცხლე სრულდება.

***

- თამარ, თქვენ თბილისიდან ჩამოხვედით პატარა სოფელში. არ გაგიჭირდათ დიდ ქალაქს მიჩვეულს სოფლად ცხოვრება?

-სოფელ ოზაანში 2015 წელს გადმოვედი საცხოვრებლად, მიზეზი ჩემი შვილის ჯანმრთელობის პრობლემა იყო. ექიმის რჩევით აუცილებლად ხშირად უნდა ვყოფილიყავით ქალაქგარეთ სუფთა ჰაერზე. ამის შემდეგ დავიწყე ძიება და აღმოვაჩინე სოფელი ოზაანი. თავიდან ვფიქრობდი, იმდენი ხანი დავრჩებოდი სოფლად, რამდენიც დათუნასთვის იქნებოდა საჭირო, მაგრამ, დროთა განმავლობაში მივხვდი, რომ ეს ის ადგილია, სადაც თავს ვგრძნობ უბედნიერესად. თავიდან ძალიან გამიჭირდა სოფლის ცხოვრებასთან შეჩვევა. ვცხოვრობდი უკიდურესად მძიმე ყოფით პირობებში. სახლი, რომელშიც ჩამოვედით, იყო წლების მიტოვებული, არ ჰქონდა დენი, გაზი, წყალი. ცხოვრება უნდა დამეწყო ნოლიდან, ამასთან, სრულიად უცხო გარემოში. პირველი საზრუნავი ელემენტარული საცხოვრისი პირობების მოწესრიგება იყო.

ყველაზე რთული იყო ის, რომ მოკლებული ვიყავი იმ ყველაფერს, რაზეც დედაქალაქში მიმიწვდებოდა ხელი, თუმცა, არასდროს მიწუწუნია ამაზე. რთულია, როდესაც ქალაქში ტოვებ ბიზნესს, მშობლებს, სახლს, ნათესავებს, მეგობრებს და მხოლოდ დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში გიწევს მათთან ურთიერთობა. მე ეს სირთულე ჩავთვალე ცხოვრების ყველაზე საინტერესო გამოწვევად და გადავწყვიტე, ჩემი ცოდნა, ენერგია და სიყვარული მთლიანად მომეხმარებინა ჩემი მხარისთვის.

-როგორ შეეგუეთ ოზაანს და ოზაანელებს?

თავიდან ოზაანში არავის ვიცნობდი. ჩამოვედი სრულიად უცხო ადამიანი ორი მცირეწლოვანი ბავშვით და ცარიელი ხელებით. აქაურმა ხალხმა თავი შემაყვარა თავისი უბრალოებით, სიყვარულით, იუმორით, ყურადღებით. მახსოვს, ახალი ჩამოსული რომ ვიყავი, მეზობლები თავისით შემოდიოდნენ და მთავაზობდნენ დახმარებას, გვიგზავნიდნენ ტკბილეულს და სხვა გემრიელობებს. დღეს ეს ადამიანები უკვე ჩემიანები არიან და ყველა ძალიან მიყვარს. სოფლად სულ სხვანაირი სითბოა ადამიანებში, ის, რაც ქალაქში ცხოვრებისას ნაკლებად იგრძნობა.

-რა ხიბლი აქვს სოფელს და რითი განსხვავდება ის დიდი ქალაქისგან?

სულ ვამბობ, რომ სოფლად ცხოვრება ფუფუნებაა, თუ ადამიანს ამ ფუფუნების საშუალება ეძლევა ცხოვრებაში. მიდგომას, რომ სოფლის ცხოვრება ნაკლებად საინტერესოა, ვიდრე დიდ ქალაქში, არ ვეთანხმები. სოფელ ოზაანში და სხვა სოფლებშიც ხშირად გაიგებთ ისეთი პროექტების შესახებ, რომელიც დადებითად აისახება სოფლად მცხოვრები ახალგაზრების ცხოვრებაზე. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ თავად შეგვიძლია დავეხმაროთ სოფელს და გავხადოთ უკეთესი. ბევრი მიდის სოფლიდან ქალაქში საცხოვრებლად, რადგან სოფლად ცხოვრება მოითხოვს მუხლჩაუხრელ ფიზიკურ შრომას, ამით კი სოფელი სუსტდება.

ჩემს შემთხვევაში ტენდენცია სოფლიდან ქალაქში, შეიცვალა ინოვაციური მიდგომით, ქალაქიდან სოფლად და გაჩნდა ახალი შესაძლებლობები ცვლილებებისთვის. დიდი წარმატებით მიმდინარეობს ჩემი ერთ-ერთი ინოვაციური პროექტი, რომელიც სოფელ ოზაანის და მეზობელი სოფლების მოსახლეობას ეხმარება, დაეუფლონ კომპიუტერული პროგრამების და ინგლისური ენის მაღალკვალიფიციური ცოდნის მიღებაში. მეცადინეობის პროცესი მიმდინარეობს სრულიად ახალი და თანამედროვე მეთოდით, პრაქტიკული უნარჩვევების განვითარების და ცოდნის რეალობაში გამოყენების გზებით. ვფიქრობ, თუ არ დავტოვებთ სოფელს და ვისაც რისი გაკეთება შეგვიძლია, იმას მივცემთ ჩვენს მხარეს და საკუთარი ცოდნის თუ უნარ-ჩვევების რეალიზებას მოვახდენთ, სოფელი ქალაქზე ძლიერი გახდება. ძლიერი სოფელი კი ძლიერ სახელმწიფოს ნიშნავს.

- თქვენი შვილები როგორ შეეგუვნენ საცხოვრებელი ადგილის, მეგობრების, სკოლის, გარემოს შეცვლას, არ გაუჭირდათ?

ახალ გარემოში გადმოსვლა ცოტა რთული იყო ჩემი უფროსი ქალიშვილისთვის. გაუჭირდა სკოლის მეგობრების დატოვება და ამას დიდხანს განიცდიდა. ხშირად ვსაუბრობდით ამ საკითხზე და ყოველთვის ვარწმუნებდი, რომ ადამიანისთვის შეუძლებელი არაფერია. თანამედროვე სოფლის ბავშვი არაფრით არ განსხვავდება ქალაქის ბავშებისაგან. ერთი, რაც განსაკუთრებულად თვალშისაცემია, არის განსხვავებული სითბოს და სიყვარულის გამოხატულება მეგობრობაში. სწორედ ამიტომ, ნინისთვის ოზაანი მისი ნამდვილი სახლი გახდა, სადაც თავს ბედნიერად გრძნობს. ჰყავს საუკეთესო მეგობრები და ხშირად ამბობს, სოფელში ცხოვრებამ სულ სხვა თვალით შემახედა ბევრ რამეზეო.

- თქვენ და პატარა სივრცე...

ჩემთვის არ არსებობს პატარა სივრცე, შემიძლია, ნებისმიერი პატარა სივრცე ვაქციო დიდად, რადგან ჩემი შესაძლებლობები მაძლევს ამის საშუალებას. სოფლის პატარა სივრცე უსაზღვროა გულწრფელი და სიყვარულით სავსე ურთიერთობებით. ამასთან, ქალაქში ცხოვრების დროს მიღებული ცოდნის წყალობით შესაძლეობლობა მაქვს, რეალიზებული ვიყო ნებისმიერ ადგილას. სწორედ ესეთ პატარა სივრცეებს სჭირდებათ ინოვაციური პროექტების განხორციელება, რომელიც ყველა შემთხვევაში წარმატებული იქნება. ჩემს შემთხვევაში ჩემმა ცოდნამ და შრომამ მომიყვანა დღემდე, სულ ძიებაში ვარ, არასდროს არ ვკმაყოფილდები იმით, რაც მაქვს და ვცდილობ, გავაკეთო ისეთი რამ, რაც ჩემს ოჯახს და მხარეს სარგებელს მოუტანს. დღეისათვის უსაზღვროა ინტერნეტსივრცე და ინტერნეტშესაძლებლობები, მთავარია, ვიცოდეთ მისი სწორი გამოყენება იდეების და ოცნებების სარეალიზაციოდ.

- ქალი, პრობლემა და მისი დაძლევის გზები. როგორ გესახებათ დღევანდელ დღეს?

მე ვფიქრობ, დღეისთვის ქალს ყველაფერი შეუძლია. ქალს ერთდროულად შეუძლია ბევრი საქმის კეთება, თან ბევრ კაცზე უკეთესი შედეგით. დღეისათვის ქართული ოჯახების დიდი ნაწილი ქალების მხრებზე დგას. ჩემს შემთხვევაში, ხან მავიწყდება ქალი რომ ვარ და ბევრი ისეთი საქმის გაკეთება მიწევს, რაც ადრე წარმოუდგენლად მეჩვენებოდა. დღეისათვის ვზრდი ორ შვილს, ვუვლი სახლს, ბოსტანს, მაქვს ჩემი ბიზნესები, რომლის პროცესებშიც უშუალოდ ვარ ჩართული და გავცემ უსაზღვრო სიყვარულს, რომელიც ათმაგად მიბრუნდება.

- თქვენ ძლიერი ქალი ხართ. თვლით, რომ ასეთად ცხოვრებისეულმა გაკვეთილებმა გაქციათ?

მე ვფიქრობ, რომ ქალზე მეტად, ძლიერი დედა ვარ, დედურმა პასუხისმგებლობამ დამაძლევინა დაუძლეველი, რომ არ ყოფილიყო ჩემი შვილის ჯანმრთელობის პრობლემა, მე ასეთად ვერ ვიქცეოდი. პირველი, ყველაზე დიდი და მწარე სირთულე ის დღე იყო, როცა ჩემი დათუნას დიაგონიზი გავიგე. რამდენიმე დღე მოვწყდი რეალობას და სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი, ვიჯექი რეანიმაციის კარებთან და ცხარე ცრემლებით ვტიროდი. მეგონა, იქ, იმ საავადმყოფოს კედლებში დასრულდა ჩვენი ცხოვრება, მაგრამ, როდესაც მივხვდი, რომ ამ დიდი განსაცდელის წინაშე მარტო დავრჩი და მე უნდა ვყოფილიყავი ჩემი შვილების გადამრჩენელი, აბსოლუტურად შევცვალე ჩემი ცხოვრება. დავიწყე ბრძოლა დათუნას დიაგნოზთან და დღემდე ამ ბრძოლით მოვდივართ. ყველა ნაბიჯი, რომელსაც ვდგამ, დათუნას და ნინუცას მომავლისთვისაა. რაც მეტ რთულ ცხოვრებისეულ გამოწვევებზე ვიმარჯვებ, უფრო მეტად ვძლიერდები.

- თქვენ ოზაანს ინოვაციები შესთავაზეთ. როგორ თვლით, შეცვალა თუ არა ამ სოფლის ცხოვრება თქვენმა პროექტმა?

სოფლად გადმოსვლასთან ერთად, დავიწყე ფიქრი, რითი უნდა მერჩინა შვილები, იმის გარდა, რომ ცხოვრება უნდა დამეწყო სრულიად ნოლიდან. დისტანციურად ვმუშობდი რამდენიმე ორგანიზაციასთან, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი, რადგან ვთვლიდი, რომ მეტის გაკეთება შემეძლო. ამიტომ, დავიწყე ფიქრი სოფლის მაცხოვრებლებისთვის შემეთავაზებინა ის, რასაც ვაკეთებდი თბილისში ცხოვრების დროს. სწორედ ამ დროს ევროკავშირის დაფინანსებით, ENPARD 2-ის პროგრამით, დედოფლისწყაროში დაიწყო ოთხწლიანი პროექტი „სამოქალაქო ჩართულობა ეკონომიკური განვითარებისთვის“, შეიქმნა ადგილობრივი განვითარების ჯგუფი(LAG), რომელმაც განმახორციელებელ ორგანიზაციასთან - „ჰექსეპერთან“ ერთად, გამოაცხადა საგრანტო პროექტების კონკურსები, მივიღე მონაწილეობა და დავფინანსდი, რამაც მომცა საშუალება, სოფელ ოზაანში გამეხსნა კომპიუტერული მომსახურების სერვისცენტრი და სასწავლო ცენტრი („დანი“), რომელიც დიდი წარმატებით ემსახურება არა მარტო ოზაანის, არამედ მთელი რაიონის მოსახლეობას. ვთვლი, რომ ეს დიდი წარმატებაა ჩემი სოფლისთვის, რადგან ვხედავ, როგორ მოუხარიათ სხვადასხვა ასაკის ადამიანებს გაკვეთილებზე და მიღებული ცოდნის რეალიზებით რამდენ წარმატებებს აღწევენ ცხოვრებაში.

ამასთან ერთად, სოფელ ოზაანშივე გავხსენი ეზოს მოსაპირკეთებელი ფილების საწარმო, რომლის გახსნის იდეაც ოზაანში საცხოვრებლად გადმოსვლისთანავე გამიჩნდა. პროდუქციის წარმოებაში უშუალოდ ვარ ჩართული და პროცესით ვიღებ დიდ სიამოვნებას. საწარმო დღეისათვის ემსახურება არა მარტო დედოფლისწყაროს რაიონის, არამედ სიღნაღის, გურჯაანის, თელავის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ მომხმარებლებს. ეს საქმიანობაც საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა ჩვენი მხარისთვის, რადგან არის ახალი და ინოვაციური, ასევე, ყველასთვის ხელმისაწვდომი.

საკმაოდ ინოვაციურია პროექტი - ამერიკის ბაზარზე ჩვენი ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის - ღვინის და ნუგბარის რეალიზება, კერძოდ, „ამაზონზე“ წარმატებულად იყიდება ქართული პროდუქცია. ჩემი მიმართულებაა მხოლოდ ჩვენს მხარეში წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია (ღვინო, ჩურჩხელა, მშრალი ხილი...), რომელიც ასევე დიდი წარმატებით მიმდინარეობს.

ვფიქრობ, რაც მეტი პროექტი განხორციელდება ჩვენს მხარეში, მით მეტად ძლიერები ვიქნებით. მეტი ადამიანი დასაქმდება და სტიმულს მივცემთ სხვებსაც, რომ შეძლონ შეუძლებელი. ყველაფერი ხელმისაწვდომი თუ გახდება ადგილობრივი მოსახლეობისთვის, შემცირდება მიგრაცია და ბევრს დავაბრუნებთ საკუთარ მიწა-წყალზე. მათ შორის, ახალგაზრდებს, რომლებიც განათლების მიღების შემდეგ უკან აღარ ბრუნდებიან.

- ახალგაზრდობა სოფლად და კომპიუტერული საუკუნე - როგორია მათი თანხვედრა?

ჩემთვის, როგორც კომპიუტერული



ლი პროგრამების მასწავლებელისთვის, არის ერთი დიდი სიამოვნება, როდესაც ბავშვებთან მაქვს ურთიერთობა. ხანდახან მგონია, ეს ბავშვები იბადებიან კომპიუტერული ტექნოლოგიების ცოდნით. სანამ ცენტრს გავხსნიდი, ხშირად ვხედავდი ახალგაზრდებს მიჯაჭვულს კომპიუტერზე, რომელიც მხოლოდ სოც. ქსელებით და ვიდეო თამაშების ცოდნით შემოიფარგლებოდა. ვურჩევდი, საკუთარი თავის პოვნით აერჩიათ სწორი მიმართულება და კომპიუტერთან ურთიერთობაც ბევრად საინტერესო და სასარგებლო გახდებოდა. დღეისათვის სასწავლო ცენტრში მოსწავლეები გარდა საოფისე პროგრამების პროფესიონალურ დონეზე სწავლისა, ეუფლებიან გრაფიკული დიზაინის წამყვან პროგრამებს, ვიდეო მონტაჟს და გადიან სწრაფი ინგლისურის სასაუბრო კურსებს, რომელმაც მათი დამოკიდებულება კომპიუტერულ ტექნიკასთან მთლიანად შეცვალა. ამით მე უბედნიერესი ვარ და ყოველთვის ვამაყობ მათი წარმატებებით.

- როგორ ფიქრობთ, საბაზრო ეკონომიკის კონკურენტულ გარემოში რა არის აუცილებელი წარმატების მისაღწევად?

ახალი იდეების და ინოვაციური ტექნოლოგიების სწრაფი დანერგვა და არსებულ რეალობასა და მოთხოვნილებებზე სწორი მარკეტინგული გათვლებით მორგება, რაც გვაძლევს წარმატების უდიდეს შანსს; მუდმივი ძიება, გამოცდილების გაზიარება და ცოდნის განახლება კი გვიორმაგებს შესაძლებლობებს. მთავარია, სწორად დაისახო მიზანი, შეიმუშავო სტრატეგია და აიტაცო ინოვაცია,

/გაგრძელება გვ. 5/

სოფლად დამსხვრეული საზოგადოებრივი სტერეოტიპები...

შეარჩიო სანდო და კვალიფიციური პარტნიორი, გათვალო საკუთარი შესაძლებლობები და რისკები, დაასწრო სხვას და რაც მთავარია, ურყევი რწმენით და შეუპოვრობით დაიწყო დასახული ამოცანების განხორციელება.

ბიზნესის წარმატების ორი გზა არსებობს: იყო პირველი და აკეთო საუკეთესოდ, ან გყავდეს კონკურენტი, მაგრამ შექმნა მასზე მაღალი ხარისხის ინოვაციური პროდუქტი.

- ინგლისური ენის შემსწავლელი კურსებიც გაქვთ. რამდენ ახალგაზრდას გაუადვილეთ ენის შესწავლა?

სასაუბრო ინგლისურის კურსები სულ რამდენიმე თვეა, რაც დავამატე სასწავლო ცენტრს და უკვე რამდენიმე ათეული მოსწავლე მერიცხება. სწავლების მეთოდი არის სრულიად ინოვაციური და ახალი, აქამდე არსებულ ინგლისურის კურსებთან შედარებით, რადგან მოსწავლე 18 გაკვეთილში იწყებს ინგლისურად კომუნიკაციას და თან ისე, რომ თავადაც ვერ ხვდება, როგორ მიდის ამ შედეგამდე. მეცადინეობის პროცესი მიმდინარეობს თანამედროვე, მსოფლიოში აპრობირებული მეთოდით, რომელიც საკმაოდ სახალისოა და არ მოითხოვს დიდ ძალისხმევას. ამ ინოვაციური პროექტის განხორციელების იდეაც გაჩნდა მომხმარებლების მოთხოვნიდან გამომდინარე. ყველას უნდა, იცოდეს ინგლისურად საუბარი და თან ისწავლოს მოკლე დროში.

სტატია მომზადებულია ა(ა)იპ „ახალი ჰორიზონტის“ მიერ, კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC) მხარდაჭერით პროექტის: “ინოვაციური სერვისების მხარდაჭერა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის“შესაბამისად. პროექტი ხორციელდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის: ,,მუნიციპალური სერვისების ხარისხის შეფასებისინსტრუმენტი (MUSQAT)'' ფარგლებში.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელნი არიან სტატიის ავტორები და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის ან კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის შეხედულებებს.

ესაუბრა
ინგა შიოლაშვილი

ინოვაციური სერვისების მხარდაჭერის პროექტი გრძელდება

ოცდამეერთე საუკუნე ტექნიკური მიღწევების ეპოქაა. თანამედროვე ტექნოლოგიები უამრავ სიახლეს სთავაზობს კაცობრიობას. მაშინ, როცა მსოფლიო საზოგადოება ყველა სექტორში ინოვაციურ სერვისებს ნერგავს, საქართველოს რეგიონებში ინტერნეტისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის პრობლემა დგას.

ამ მხრივ არც დედოფლისწყაროა გამონაკლისი. მუნიციპალიტეტის მერიასთან თანამშრომლობით ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარეობს პროექტი: „მუნიციპალური სერვისების ხარისხის შეფასების ინსტრუმენტი (MUSQAT)', რომელსაც კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC) მედია ცენტრ კახეთთან (MCK) ერთად ახორციელებს.

სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში, მცირე საგრანტო კონკურსში გამარჯვებული ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი ჰორიზონტი“ ამჟამად ინოვაციური სერვისების გაუმჯობესებაზე მუშაობს და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ცენტრის გახსნის მხარდასაჭერად ადვოკატირების პროექტს ახორციელებს. ამ საკითხს გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან ერთად ლობირებას უწევს დედოფლისწყაროს ლაგიც.

ა(ა)იპ „ახალი ჰორიზონტი“-ს ხელმძღვანელი შორენა შანშაშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას აცხადებს, რომ მათმა ორგანიზაციამ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ცენტრის გახსნის თაობაზე ადვოკატირების კამპანია აქტიურად დაიწყო 2021 წლის მარტიდან. ამ მიზნით უკვე გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები მუნიციპალიტეტის სოფლებში.

„საინფორმაციო შეხვედრები აქტიურად გაგრძელდა აპრილის თვეშიც. სამიზნე ჯგუფებს შევხვდით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ორ სოფელში, ასევე, საქართველოს ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სააგენტოსა და დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურს ცენტრში. შეხვედრებზე მოსახლეობას მივაწოდეთ ინფორმაცია პროექტის მიზნებისა და დაგეგმილი საქმიანობების, ასევე, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ფუნქციებისა და საქმიანობების შესახებ, საუბრების მთავარ თემას წარმოადგენდა ამგვარი ცენტრის დედოფლისწყაროში გახსნის და ტექნოლოგიურ სიახლეებზე წვდომის საჭიროება. მოსახლეობას ვაწვდიდით ინფორმაციას, რომ ეს დაეხმარება ადგილობრივ ბიზნესს წარმატებულ საქმიანობაში, ხოლო ახალგაზრდებს-მეცნიერული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და პროფესიის სწორად არჩევაში. შეხვედრების მონაწილეებს გავაცანით სააგენტოს მიერ და დონორი ორგანიზაციების დახმარებით, სხვადასხვა პროგრამებით ჩვენს ქვეყანაში, რეგიონსა და მუნიციპალიტეტში დაფინანსებული

ბიზნეს პროექტები, რომლებმაც ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვით შეძლეს წარმატების მიღწევა. ჩვენი პროექტის მიზანიც ხომ სწორედ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაა,“-ამბობს შორენა შანშაშვილი.

-რა ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა იმისთვის, რომ მუნიციპალიტეტში ტექნო პარკის გახსნა რეალობად იქცეს?

-დედოფლისწყაროში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ცენტრის გახსნის

საკითხთან დაკავშირებით, 2021 წლის 16 აპრილს, ქ. თბილისში, შედგა შეხვედრა საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს თანამშრომლებთან. შეხვედრას ესწრებოდა ტექნო პარკის ქსელის მენეჯერი გიორგი კეჟერაშვილი. მას ვესაუბრეთ ჩვენს მიერ წამოწყებული კამპანიის შესახებ. გავაცანით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სამრეწველო/სამეწარმეო, აგრარული და ბუნებრივი რესურსების პოტენციალი და შესაძლებლობები. შეხვედრაზე დეტალურად გავიარეთ ის საკითხები და პრობლემები, რაც შეიძლება შეგვხვდეს ტექნო პარკის სერვის ცენტრის გახსნასთან დაკავშირებით. მათი მხრიდან მხარდაჭერასთან ერთად, მივიღეთ რჩევები და სწორი მიმართულებები ჩვენი მიზნის მისაღწევად.

-სოფლებში მოსახლეობასთან შეხვედრისას რა ძირითადი პრობლემები გამოიკვეთა?

- 2021 წლის აპრილში საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანში. შეხვედრას მერის წარმომადგენელი და მისი თანამშრომლები ესწრებოდნენ. როგორც საუბრიდან გავარკვიეთ, ზემო მაჩხაანშიც ახალგაზრდების უმრავლესობა აღარ უბრუნდება სოფელს , მათ არ აქვთ განვითარების, დასაქმების საშუალება. მერის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ტექნო პარკის სერვის ცენტრის გახსნა კარგი სიახლე და შესაძლებლობა იქნებოდა მოსახლეობისთვის და მზადაა მხარი დაუჭიროს ამ სასიკეთო ინიციატივას.

პროექტის შესახებ საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურს ცენტრის თანამშრომლებთანაც. დაიგეგმა სკოლებში ვიზიტები, აქტიური და კრეატიული მოსწავლეების შერჩევა მხარდამჭერთა გუნდისთვის, რომლებიც მოამზადებენ აქცია პერფორმანსებს, ან ვიდეო - სიუჟეტებს (კოვიდ პანდემიის ვითარების შესაბამისად) ინოვაციების შესახებ.

საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა ასევე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ოზაანში ბიზნესის წარმომადგენლებთან და სკოლის მოსწავლეებთან. ახალგაზრდების სოფელში დაბრუნების და დასაქმების პრობლემა აქაც აქტუალური აღმოჩნდა. საუბარი შეეხებოდა იმ პერსპექტივებსა და შესაძლებლობებს, რაც უკავშირდება ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ცენტრს.

საინფორმაციო შეხვედრა სოფელ ზემო მაჩხანის საჯარო სკოლაშიც ჩატარდა. შეხვედრას სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები ესწრებოდნენ. ჯამში 16 ადამიანი. მათაც გავაცანით პროექტის მიზნები და ამოცანები, დაგეგმილი აქტივობები. როგორც სხვაგან, აქაც საუბრის თემა საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს შესაძლებლობებს და მის მიერ ჩვენს ქვეყანაში განხორციელებულ საქმიანობებს შეეხებოდა.

- თქვენი მხრიდან რა ტიპის საგანმანათლებლო ხასიათის აქტივობები განხორციელდა ?

საინფორმაციო შეხვედრების ფარგლებში, დამსწრე საზოგადოებას და ახალგაზრდებს განვუმარტეთ, რომ ტექნოპარკი სხვადასხვა იდეისა და ინიციატივის მქონე ადამიანებს აერთიანებს და ხელს უწყობს მათ, ტექნოპარკის ინფრასტრუქტურის გამოყენებით, მეცნიერულ დონეზე, შექმნან ახალი ტიპის, ტექნოლოგიებზე დაფუძნებული კონკურენტუნარიანი პროდუქცია/სერვისი, დანერგონ პრაქტიკაში და ჰქონდეთ წარმატებული ბიზნესი. შეხვედრაზე ნაჩვენები იყო ვიდეო სიუჟეტები ინოვაციურ ბიზნეს საქმიანობებზე, თანამედროვე ტექნოლოგიურ სიახლეებზე, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია და მათი ხელმოწერებიც მიემატა მხარდამჭერთა სიას.

ქვეპროექტს:

„ინოვაციური სერვისების მხარდაჭერა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის'' ახორციელებს ა(ა)იპ „ახალი ჰორიზონტი“ კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC) მხარდაჭერით.

ქვეპროექტი ხორციელდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის: ,,მუნიციპალური სერვისების ხარისხის შეფასების ინსტრუმენტი (MUSQAT)'' ფარგლებში.

სტატიაში გამოთქმულ შინაარსზე სრულიად პასუხისმგებელია რესპოდენტი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის ან კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის შეხედულებებს.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელნი არიან დოკუმენტის ავტორები და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის ან კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის შეხედულებებს.

ამაღლების დღესასწაული აღნიშნეს

10 ივნისს, ამაღლების დღესასწაულთან დაკავშირებით ოზაანის ამაღლების ტაძარში საზეიმო წირვა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მეუფე დიმიტრიმ ეპარქიის მღვდელმსახურებთან ერთად აღავლინა.

წირვას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი საზღვრის დაცვის დეპარტამენტის დედოფლისწყაროს N4 სამმართველოს უფროსთან მალხაზ ლომსიანიძესთან ერთად დაესწრო და ტაძარში შეკრებილ მრევლს ამაღლების დღესასწაული მიულოცა.

წმიდა სახარების მიხედვით, აღდგომიდან მეორმოცე დღეს უფალი იესო ქრისტე მოწაფეთა თვალწინ ზეცად ამაღლდა . მართლმადიდებელი ეკლესია მაცხოვრის ამაღლების დღესასწაულს აღდგომიდან მე-40 დღეს, მეექვსე კვირის ხუთშაბათს აღნიშნავს.

ოზაანის ამაღლებას უამრავი თქმულება თუ ლეგენდა უკავშირდება. გთავაზობთ ერთ მათგანს.

თამარის მანდილი

ქიზიყის სოფლები - მირზაანი და ოზაანი ოდესღაც ერთი დიდი დაბა ყოფილა, შემდეგ გაყოფილა. მირზაანს მირტაზანი რქმევია.

ამ ორ ისტორიულ სოფელს ბევრი რამ აქვს საამაყო, უპირველესად ის, რომ მირზაანი არის მშობელი დიდი ნიკო ფიროსმანაშვილისა, ხოლო ოზაანელად რაცხენ XII საუკუნის ცნობილ ფრესკისმწერალ მიქაელს, რომელსაც მოუხატავს ამავე სოფლის ამაღლების ტაძარი.

სხვა არაფერი ვიცით ამ დიდებულ ხელოვანზე. თუმცა მისი საოცარი, სინათლით სავსე ფრესკები და კუთხეში მკაფიო ხელით გამოყვანილი სახელი „მიქაელ“ ბევრ ფიქრს აუშლის მეოცნებე მამულიშვილს...

მიქაელს თურმე ტაძრის კედელზე თამარის ფრესკა დაუხატავს, ლეგენდა ამბობს, - თამარის ფრესკას ერთი უცნაურობა სჭირს, ხან გამოჩნდება, ხან დაიკარგება, გასხლტება თვალთაგან, ხანგრძლივად გაუჩინარდება. მისი დანახვა ყველას არ ძალუძს. იდუმალი თამარი რომ იხილოთ, სამი რამ უნდა გწამდეთ: ღმერთი, სიყვარული და სასწაული.

მიქაელის თურმე ფრესკებს ბავშვობაშივე მოუხიბლავს ნიკო ფიროსმანაშვილი, საათობით უჭვრეტდა თურმე ოსტატის ნაყალმევს...

თქმულება გვამცნობს:

თამარ მეფე საღამოს პირზე შესულა ამაღლების ტაძარში. მიქაელი ხარაჩოზე მდგარა. ჩაბნელებულ კედელს ანაზდეულად ნათელი რომ მოჰფენია, შემკრთალა მხატვარი. ელდანაცემი ჩამოვარდნილა და მხარი უღრძვია.

თამარი ხომ მკურნალიც იყო, „აქიმ-დედოფალიც“. საკუთარი ხელით შეუზელია მალამო მიქაელისთვის, რიდე მოუხსნია და იმით შეუკრავს მხარი.

ამის შემდეგ დაუხატავს ოსტატს იგავმიუწვდომელი თამარი. **იმ დღიდან არც მეფე-ქალის სახსოვარი - სალბუნადქცეული რიდე მოუშორებია.**

18 იანვარს თამარის მიცვალება იაზრა თურმე დიდოსტატმა. ძაძით შემოსილა და თავშიშველი გაეშურა თურმე ამაღლებიდან თბილისისკენ.

შეღამებისას, მცირე ალავერდის ტაძართან ჩაუჩოქია და სული უფლისთვის მიუბარებია კურთხეულს....

წესის აგებისას მღვდელს შეუნიშნავს, - მიცვალებულისთვის ფრთხილად მოუხსნია რიდე ზამთრის სუსხიან ქარს და საკურთხეველზე სასოებით დაუსვენებია. დასწვდა თურმე მოძღვარი რიდეს.... უცებ ციური ხმა ჩაესმა, - აიღე და შეწირეო და შეშინებულს ხელი აუშვია. აფრენილა თამარისეული სიწმინდე და გაუჩინარებულა მოკვდავთა თვალთაგან.

მას შემდეგ, საუკუნეში ერთხელ, თამარის აღსრულების დღეს გამოჩნდებოდა ხოლმე მოფრიალე რიდე, დაედევნებოდა ზღვა ხალხი, მიეწეოდა რომელიმე, მაგრამ იდუმალი ჩურჩულის გაგონებაზე უკან იხევდა.

შვიდასი წლის შემდეგაც გამოჩენილა რიდე. ერთხანს უფრენია და ღარიბი გლეხის ეზოში მოთამაშე ბიჭუნას დასვენებია მხარზე...

პატარა ნიკო ფიროსმანაშვილს იდუმალი ხმაც გაუგონია, მაგრამ არ შეშინებია, თავი აუწევია და ბედნიერს ცისთვის შეუღიმია თურმე...

პრემიერი ნამოხვანჰესის პროექტის პირობებს ცვლის

ქვეყნის პრემიერს ხელშეკრულების პირობები არ მოსწონს და ამ სახით ჰესი აღარ აშენდება. წესით, ამ ცვლილებამ მთავრობასთან დაპირისპირებას ბოლო უნდა მოუღოს. ახლა მთავარია, ჰესის მშენებლობის მოწინააღმდეგეები ენდობოდნენ ქვეყნის მეთაურს.

რიონის ხეობის მცველები აცხადებენ, რომ მათი პროტესტი გაგრძელდება, რადგან იმედი არ აქვთ, რომ ხელისეფლება მართლაც სასარგებლო გადაწყვეტილებას მიიღებს. საქმე ეხება პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებას, სადაც მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნამოხვანჰესის პრობლემა მემკვიდრეობით დახვდა. მას კომპანია "ენკასთან" გაფორმებული ხელშეკრულების პირობა არ მოსწონს და ამ ფორმით პროექტის განხორციელება აღარ გაგრძელდება.

„ნამოხვანის პრობლემა, მოგეხსენებათ, მემკვიდრეობით დამხვდა და ამაზე მე აქტიურად ვმუშაობ. იმ პირობებით, რა პირობებითაც დაგვხვდა ეს პროექტი - 100 წელი და ასე შემდეგ... მე შემიძლია გითხრათ, რომ ასეთი პირობებით ჩვენ არ გავაგრძელებთ ამ პროექტს - ეს ერთი. ჩვენ ინვესტორს ველაპარაკებით და დიდი იმედი მაქვს, დავითანხმებთ, რომ ჩვენი ქვეყნის ინტერესების სასიკეთოდ წამოვიყვანოთ ის და კიდევ უფრო უკეთესი პირობებით ავაშენოთ ნამახვანჰესი, რომელიც იქნება საუკეთესო ინტერესების გამტარებელი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისთვის, მათ შორის ნამოხვანჰესის მოწინააღმდეგე მოქალაქეებისთვის", - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. პროექტის უსაფრთხოებაზე გააკეთა აქცენტი კონომიკის მინისტრმა ნათია თურნავამ, რომლის თქმითაც, „ნამახვანის კაშხლის მშენებლობა არ დაიწყება მანამ, სანამ მის უსაფრთხოებაში ყველა არ დარწმუნდება". **„დაახლოებით 12 თვე გვაქვს ჩვენ ყველას, ვიდრე შესაძლებელი გახდება კაშხლის მშენებლობა. ამ 12 თვის განმავლობაში ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ პროექტი გავაუმჯობესოთ. 15-მდე საექსპერტო ორგანიზაციამ გაიწვია ის კვლევები, რაც ჩვენ გვქონ-**



და 1 თვის წინ გამოქვეყენებული. ველოდებით მათ, რომ ვნახოთ რა აღმოაჩნეს ამ კვლევებში ისეთი, რაც დამატებით სამუშაოებს საჭიროებს. მართალია, 99 წლით იჯარით გადაცემა შეესაბამება კანონმდებლობას, მაგრამ დავინახეთ, რომ ამასთან დაკავშირებით არის აზრთა სხვადასხვაობა საზოგადოებაში და ვფიქრობთ, რომ ამ ნაწილშიც უნდა მივაღწიოთ პროგრესს. როცა გვექნება საბოლოო გადაწყვეტილება, ამას გავახმოვანებთ. სხვა დანარჩენში, რასაკვირველია, ეს პროექტი მნიშვნელოვანია, ის ენერგეტიკულად აძლიერებს სახელმწიფოს, მაგრამ გაუმჯობესებული და უსაფრთხო სახით განხორციელდება", — აღნიშნა თურნავამ.

რიონის მცველები კი აცხადებენ: **„საკითხს დაარქვეს პრობლემური, თუმცა ჩვენ, ვინც ეს პრობლემა დავსვით და საკითხი პრობლემად წარმოვაჩინეთ, არ გვესაუბრებიან. ახლა იმის იმედად თუ არიან, რომ პროექტში 100 წელს 49 წლად გადააკეთებენ და მხოლოდ ეს იქნება საკმარისი, არასწორად ფიქრობენ. მთავრობა ჯერ ჩვენ უნდა შეგვხვედროდა"**, - განაცხადა გოლეთიანმა. მთავრობასთან მოლაპარაკებას ადასტურებს ჰესის ინვესტორი კომპანია „ენკას" ქართველი დირექტორი მერაბ ლომინაძე. იგი პრემიერ-მინისტრის პოზიციას განცხადებითვე გამოეხმაურა. **„როგორც კი მოლაპარაკებები რაიმე შედეგამდე მივა, საზოგადოებისთვის აუცილებლად გახდება საჯარო"**, - განაცხადა ლომინაძემ. პროექტში ცვლილების მომხრეა ენერგეტიკოსი გია არაბიძე, მაგრამ ისე უნდა მოხდეს, რომ არც ეკონომიკას შეექმნას პრობლემა და არც ეკოლოგიას. საბოლოო ჯამში, ჰესი აუცილებლად უნდა აშენდეს, მაგრამ შენიშვნები მაქსიმალურად უნდა იქნას გაზიარებული როგორც ინვესტორის, ასევე მთავრობის მხრიდან. ენერგეტიკოსი აცხადებს, პრემიერის ინიციატივას მიესალმება და მიაჩნია, რომ ამ განცხადებას პროექტის საფუძვლიანი შესწავლა და კვლევა მოჰყვება".

მოძრაობა „რიონის ხეობის გადარჩენისთვის" მოთხოვნაა, შეწყდეს 2019 წლის 25 აპრილის ხელშეკრულება საქართველოს მთავრობასა და კომპანია „ენკას" შორის მდინარე რიონზე დაგეგმილი ნამოხვანის ჰესების კასკადის მშენებლობის შესახებ და კომპანიამ დატოვოს რიონის ხეობა; გაუქმდეს განკარგულება, რომლის საფუძველზეც, კომპანია „ენკას" საკუთრებაში და ასევე, სარგებლობის უფლებით სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ტერიტორიები გადაეცა; გაუქმდეს ნამოხვანის ჰესების კასკადზე 2015 წელს გაცემული სამშენებლო ნებართვა და სხვა მასზე დაფუძნებული ყველა დოკუმენტი; თანამდებობიდან გადადგეს ეკონომიკის მინისტრი ნათია თურნავა და დადგეს ყველა იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც ხელს აწერენ კონკრეტულ დოკუმენტებს პროექტთან დაკავშირებით; გამოცხადდეს მორატორიუმი ქვეყანაში დაგეგმილ ენერგოპროექტებზე და დიალოგის პროცესში განისაზღვროს ქვეყნის ენერგოპოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები".

სეტყვა დედოფლისწყაროში

ძლიერმა წვიმამ და სეტყვამ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი დააზარალა. სეტყვა ზემო მაჩხაანში 9ივნისს მოვიდა. ადგილობრივების თქმით, სეტყვამ, რომელიც, დაახლოებით, ათი წუთი გაგრძელდა, საკარმიდამო ნაკვეთები დააზიანა.

მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი სოფელ ზემო მაჩხაანში, გიორგი იაკობიშვილი გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას აცხადებს: “ძლიერი წვიმა და სეტყვა იყო. საკარმიდამო ნაკვეთები დაზიანებულია. სოფლის გარეთ არსებული ვენახები და ნაკვეთები გადარჩა“.

ზემო მაჩხაანელების განცხადებით, ტალავერზე არსებული ყურძნის მოსავალი მთლიანად განადგურდა, ასევე დაზიანდა საგაზაფხულო მოსავალი.

11 ივნისს ქალაქ დედოფლისწყაროში, ხორნაბუჯსა და სამრეკლოში, ძლიერი წვიმა და სეტყვა მოვიდა. ადგილობრივების ცნობით, სეტყვამ საკარმიდამო ნაკვეთებს სერიოზული ზიანი მიაყენა. ინფრასტრუქტურული ზიანის შესახებ ინფორმაცია ზუსტდება.

„დაე, ცრემლები მხოლოდ ხახვის ჭრისგან გვდიოდეს!“

“გარკვეულწილად, ალბათ, ისიც დაავადებაა, რომ დაივიწყო ვინმე, ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ ზედმინევნით კარგად დაიმახსოვრო შვიდი წლის ასაკში ნანახი ბუჩქი და იქვე - ჭიანჭველები. პათოლოგიას ჰგავს - მეხსიერება ერთდროულად გეხმარება კიდეც და ხელსაც გიშლის ცხოვრებაში, თუმცა... მაინც ჯობია, რომ გახსოვდეს. ამიტომ იცხოვრეთ და დაე, მუდამ სიკეთე გქონდეთ ოჯახში, ველოსიპედს კი... მერეც შეიძენთ”. - რევაზ (რეზო) გაბრიაძე ამბობდა, - ყოველივე, რაც ცხოვრებაში გადამხდა, იმიტომ მოხდა, რომ ყველაზე მეტად თავისუფლება მიყვარდა. ყოველთვის გავრბოდი: აქედან - იქით, იქიდან - აქეთ და საკუთარ თავს ილუზიას ვუქმნიდი... მაგრამ ეს ცხოვრებაში წამადგა. როგორც კი რაღაც ვალდებულებად მექცევა, როგორც კი აღმოვაჩენ, რომ გარემოებების ტყვე ვარ, მომენტალურად შემიძლია სხვა საქმეს მოვკიდო ხელი, რათა არ გავაკეთო ის, რასაც მიბრძანებენ. ალბათ, ამიტომაც თქვა მასზე ცნობილმა რუსმა თეატრის კრიტიკოსმა მარინა დმიტრევსკაიამ, - გაბრიაძე ყოველთვის ემიგრანტი იყო. იგი ემიგრაციაში ჟურნალისტიკიდან კინოში წავიდა, კინოდან - ლიტერატურაში, იქიდან - თეატრში; მოსკოვიდან - თბილისში, თბილისიდან - ლენინგრადში; ცხოვრებიდან - თხრობაში, სინამდვილიდან - სიზმარში. მას მართავდა არა მხოლოდ თავისუფლების იდეა, რომელიც სამოციანელებმა გააფეტიშეს, არამედ - უნიკალური, თითქმის “რენესანსული”, მრავალმრივი ნიჭიერებაცო.

სწორედ რევაზ გაბრიაძემ გვასწავლა:

რომ “სიყვარული ვერტიკალურია და თანაც ბრუნვადი”; რომ ცხოვრების რჩეულად შენს ქალაქში საუკეთესო უნდა შეარჩიო - წყნარი, პატიოსანი, თერაპევტი, ოჯახიშვილი... მაგალითად ისეთი, როგორიც დიმიტრია, გელოვანი; რომ არ უნდა დაივიწყო - “ყველაფერი დასწრებაზეა ამ ქალაქში”; რომ თუ ცუდად მოიქცევი, “შენც დაგიჭერენ, მეც დამიჭერენ, ტრიფონიასაც დაიჭერენ”; რომ შეიძლება, კაცი მოკვდეს და “გავიდა გაღმა, მარილზეო” - შეუცხადებლად, მარტივად წარმოთქვა; რომ ვერ გაერკვე, რაღაც გეჩვენება თუ მართლა ხედავ და შეფიქრიანდე, “ნეტავ, ის შავი კაცი ვინ იყოო”; რომ კაცი თავისი პურმარილით მოიპატიჟო, მაგრამ პატივმოყვარეობა რომ არ შეგელახოს, მიაძახო, “პრასი გვაქვს-თქვა, არ გვინდაო”;

კაცმა თქვა, - სიყვარულიდან ჩამოვედიო...

რეზო გაბრიაძე: “დავიბადე 1936 წლის 29 ივნისს, ქუთაისში, წარმოშობით გლეხის ოჯახში... 1905 წლის რევოლუციის ქუჩა, სახლი ნომერი 23 დიდხანს-დიდხანს ცხოვრობდა ჩემთან ერთად. და ახლა, სიბერეშიც მახსენებს თავს, თუმცა უფრო და უფრო მკრთალად. მაგრამ ადრე იგი ამომიტივტივდებოდა ხოლმე მოულოდნელად და უადგილოდ - უეცარი ნათებასავით - მაგალითად, სტომატოლოგთან ან აეროპორტში ვიწყებდი ჩურჩულით “1905 წლის ქუჩა, სახლი ნომერი 23”. თითქოს ჩემი ბავშვობის მისამართით რაღაცისგან თავს ვიცავდი. ხოლო რიცხვ “23”-ს დღემდე ვიყენებ სცენარებში, საუბრისას, ნახატებში”... 1979 წელს მან მემარიონეტეთა ჯგუფი ჩამოაყალიბა, 1981-ში კი - თბილისის მარიონეტების თეატრი დააფუძნა. მას შემდეგ დაიდგა “ალფრედი და ვიოლეტა”, “მარშალ დე ფანტიეს ბრილიანტი”, “ჩემი გაზაფხულის შემოდგომა”, “ტრაპიზონის იმპერატორის ქალიშვილი”...

მისი პაწაწინა თოჯინების სამყაროში ადამიანების ბედისწერის მძაფრი ამბები იბადება. აქ ტირიან, იცინიან, მღერიან და მოგზაურობენ ოცნებებსა და მოგონებებში. მისთვის განსაკუთრებით ძვირფასი ყოფილა ბავშვობის მოგონებები, - ჩემს ბავშვობას ხშირად ვუბრუნდები. მინდა, იმ სამყაროში ისევ ვიცხოვროო.

რეზო გაბრიაძის თეატრის ფასადზე კი ოქროს ასოებითაა დაწერილი მისი დევიზი - “Extra Cepam Nihil Cogito Nos Lacrimare” - “დაე, ცრემლები მხოლოდ ხახვის ჭრისგან გვდიოდეს”.

რევაზ გაბრიაძისეული “ცხოვრების წრებრუნვა”

კარგა ხანია, თბილისის მთავარ ღირშესანიშნაობად იქცა მარიონეტების თეატრის საათიანი კოშკი, რომელიც რეზო გაბრიაძემ 2010 წელს ააგო და მის მიერ დაარსებული მარიონეტების თეატრის 30 წლის იუბილეზე, იმავე წლის 6 ნოემბერს სადღესასწაულოდ გახსნა. თუმცა იგი ამ უჩვეულო “პრემიერის” არა მარტო რეჟისორ-ფერმწერ-დრამატურგ-სკულპტორ-სცენარისტი გახლდათ, არამედ - არქიტექტორიც!

არცთუ დიდი ხნის წინ ამერიკული ინტერნეტ-გამოცემის - Atlas obscura-ს მიერ საკუთარი ფორუმების მკითხველებისთვის შეთავაზებულ გამოკითხვაში, სადაც მათ თავიანთი უსაყვარლესი მონუმენტური საათები უნდა დაესახელებინათ, მკითხველების შერჩეულ მსოფლიოს 17 საუკეთესო ღირსშესანიშნავ მონუმენტურ საათს შორის რევაზ გაბრიაძის მარიონეტების თეატრის საათიანი კოშკიც მოხვდა.

კოშკის ქვედა მხარეს ორი კერამიკური პანოა, რომლის შემადგენელი რამდენიმე ასეული ფილა რეზო გაბრიაძემ საკუთარი ხელით დაამზადა და მოხატა. ყოველი საათის ბოლოს მოხატული კარიდან გამოდის ანგელოზი და პატარა ჩაქუჩით ზარს რეკავს. მცირე თოჯინების თეატრი თავად კოშკშიც არის განთავსებული და დღეში ორჯერ, 12:00 საათსა და 19:00 საათზე შესაძლებელია საოცარი თოჯინური წარმოდგენის - “ცხოვრების წრებრუნვის” ნახვა. იქვე, თეატრისა და კოშკის გვერდით კი, VI საუკუნის ანჩისხატის ბაზილიკაა...

ეპილოგი - მისი გაზაფხულის შემოდგომა

ამ სამყაროს ნიადაგი, საძირკველი მართლაც რევაზ გაბრიაძის “ფირუზისფერი საქართველო” იყო - დიდი და პატარა საქართველო. ყველაფერი, ხომ, სწორედ ამ პატარა საქართველოთი დაიწყო, ბანოჯადან და გუმბრიდან - წყალტუბოს სოფლებიდან, საიდანაც მისი ბებია, ბაბუა და... ყველა წინაპარი იყო!

- ამ სოფლებს შორის ისეთივე მანძილია, როგორიც ახალ და ძველ არბატს შორისო, - უთქვამს რეზო გაბრიაძეს მარინა დმიტრევსკაიასთვის და მისებრ, კვიმატურად დაურთავს, - ზოგჯერ, მოლხენისას, შეიძლება აგრეოდა, რომელ სოფელში იმყოფებოდი... მამისეულ მხარეს ნოემბრის დასაწყისში უკვე თოვლი დევს, ამიტომ ხალხიც უფრო მკაცრია. იქ შავი კლდეები და გრანიტია და იქაურებიც, თითქოს, ქვისგან გამოთლილებს ჰგვანან, თანაც ძვალმსხვილები არიან, ნელა დადიან და მთელი ტანით, ტლანქად, ისე შემობრუნდებიან ხოლმე, როგორც ტროლეიბუსი... დედის მხარეს მიწა რბილია და სრულიად თეთრი, იქაური ნათესავებიც უფრო მხიარულები, არტისტულები, მუსიკალურები და პლასტიკურები არიანო.

იმ “პატარა საქართველოს” გახსენებისას, ბატონი რეზო, თურმე, ხშირად ჩაურთავდა ხოლმე თავისი ბებია-ბაბუის ამბავს - როგორ გაექცა ბაბუას მასზე განაწყენებული ბებია - ჯერ კიდევ პატარა გოგონა დომნა ბრეგვაძე თავის მშობლიურ სოფელში... ლამის, მოპირდაპირე ქუჩაზე! ამ მიკროსამყაროს - “გაბრიაძის საქართველოს” მასშტაბი ნელ-ნელა ჯერ ქუთაისამდე გაიზარდა, შემდეგ თბილისამდე და შემდეგ... მსოფლიო მოიცვა - სად აღარ იცხოვრა და სად აღარ დატოვა კვალი თავისი შემოქმედებით, მაგრამ “ფირუზისფერი საქართველო” მუდამ მისი სულის ნაწილი იყო, მუდამ ყავლგაუსვლელი.

p.s.

„გამარჯობა, საფიჩხიის სასაფლაოვ! ო, რამდენი ახალი მკვდარია! ყველა, ვისაც ჩიტი უყვარდა, ყველა აქ წევს... და შენც, სარჯველაძევ! და შენც, ილუშა ფოტოგრაფო... გულოც... გამარჯობა, დომნა! გამარჯობა, ვარლამ! აი, თქვენთან ვარ... მთავარანგელოზო გაბრიელ, გამიღე ბებიასთან შესასვლელი კარი...და იგი შეუშვეს...” - “ჩემი გაზაფხულის შემოდგომა”.

ნათელი არ მოკლებოდეს თქვენს სულს, ძვირფასო ბატონო რეზო!

ხსოვნა

ბადრი გოგლიძე-მაია ოშხარელი

ორმოცი დღე გავიდა, ძვირფასო ბადრი და ძვირფასო მაია, მაგრამ თქვენი დაკარგვით გამოწვეულ ტკივილს არათუ დღეები, ათეული წლები ვერ გაანელებს. ვერაგმა ვირუსმა არც თქვენ დაგინდოთ და ყველა თქვენი ახლობელიც იმ აუტანელ, სამწუხარო რეალობაში დაგვტოვა, რომლის დაჯერების სურვილი არ გვაქვს. ამიტომაც გელოდებით ხოლმე ჩვეულებრივ უქმეებზე, ამიტომაც ვიღებთ ხოლმე ხელში ტელეფონს თქვენთან დასარეკად. მაგრამ, როდესაც ჭიშკარი გაიხსნება და თქვენს ნაცვლად თქვენი სამაგალითოდ აღზრდილი შვილი, (რომელიც ყოველ სამ დღეში აქ ჩამორბის ბებო-პაპას მისახედად) ნოდარიკო დაიძახებს, მაშინ ვაცნობიერებთ, რომ უკვე ერთი თვეა სხვა რეალობა გვიდგას!

ბადრი გოგლიძე და მაია ოშხარელი არამხოლოდ ოჯახმა, ახლობლებმა, არამედ, მთელმა ქვეყანამ დაკარგა. საქართველოს პროკურატურამ და სასამართლო სისტემის ყველა ინსტანციამ დაკარგა ორი უწესიერესი, უძლიერესი და ჰუმანური იურისტი, რომლებმაც არაერთი სამაგალითო პრეცედენტი შექმნეს ქართული მართლმსაჯულების ისტორიაში. სულ ახლახანს, 30 მაისს, საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ პროფესიულ დღესთან დაკავშირებით, პროკურატურის საპატიო წევრის წოდება მიანიჭა აწ გარდაცვლილ ბადრი გოგლიძეს. განუსაზღვრელი იყო მაია ოშხარელის ობიექტურობა და ჰუმანურობა ქართული სასამართლო სისტემის ყველა ინსტანციაში. იგი იყო ჯერ საქალაქო, შემდეგ სააპელაციო და უზენაესი სასამართლოს მოსამართლე. გარდაცვალებამდე უვადოდ დაინიშნა და მუშაობდა მცხეთის რაიონის მოსამართლედ. მის სახელს უკავშირდება არაერთი გახმაურებული საქმე და უზენაესი სასამართლოს დარბაზიდან არაერთ გათავისუფლებულ ადამიანს. ძნელია, ასე ღირსეულად ემსახურო შენს ქვეყანას, ხალხს და განურჩევლად ყველასთან ასეთი დიდი სიყვარული და პატივისცემა დატოვო. ძნელია, ასეთი მეგობრების დანაკარგს თვალი გაუსწორო, მაგრამ, ვალდებულნი ვართ ეს ტვირთი ისე ღირსეულად ვატაროთ, როგორც თქვენ გეკადრებათ და თქვენს შვილებს ის მშობლის სითბო დავახვედროთ ხოლმე, რომელსაც თქვენი უეცარი დაკარგვით გამწარებულები, ასე დაეძებენ მათ მეგობრებში!

ელზა ხარაშვილი, გელა გველუკაშვილი

***

„ლურჯი აპრილი“ ჩვენთვის გაშავდა, ბადრი და მაია, აწი თქვენი ხსოვნა გაასხივოსნებს მხოლოდ! თეთრ იასამნებში თქვენს ხატებას ვხედავთ, თეთრ, ლამაზ სახეებს, აწ მდუმარედ გარინდებულს! ამ თეთრ იასამნებს გატანთ ორივეს, ღვთისმშობლის დალოცვილი ყვავილი ყოფილა იასამანი და მისი მადლით ცათა სასუფეველი დაგიმკვიდროთ უფალმა, შეგეწიოთ ჯვარცმული იესო!ცრემლით განედლებულ სიყვარულს გატანთ, ჩვენო ძვირფასებო! შეხვედრის დღიდან ერთნი იყავით და ერთადაც მიგვატოვეთ! ნახვამდის!

ზენზელა, ნოდარ, მზია და ნინო გოგლიძეები

ეკა გიორგანაშვილი, ბაბუცი ჯორკოშვილი, ვალერი იაკობიშვილი, მერი ბუთხუზი იუწყებიან ექიმი - სტომატოლოგი

ნანა ლეკაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სტუმრად პატარებთან ბაღში...

ჩვენი გაზეთის ფურცლებზე არაერთი მასალა გამოგვიქვეყნებია პანდემიასთან დაკავშირებით არსებული შეზღუდვების შესახებ, მათ შორის, შეფერხებულ სასწავლო პროცესზე საჯარო სკოლებში, მაგრამ, ცოტა რამ თუ გვითქვამს საბავშვო ბაღებში ამ მხრივ შექმნილ რეალობაზე, იქ არსებულ გამოწვევებზე მსოფლიო პანდემიის პირობებში.

მიმდინარე წელს, ჩვენს მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც ქვეყანაში, საბავშვო ბაღებში სააღმზრდელო პროცესი შეჩერდა. თუ როგორ გაუმკლავდნენ ამ სირთულეს ჩვენი პატარები და მათი აღმზრდელები, ამ თემაზე სასაუბროდ პირველი ბაღის უფროსი ჯგუფის პედაგოგს - **დალი მაძღარაშვილს** ვესტუმრეთ შემდეგი კითხვებით: გვესაუბრეთ თქვენი ჯგუფის შესახებ (რომელ წლიანთა ჯგუფია, რამდენი აღსაზრდელია და რამდენი სასკოლოა მათ შორის. ვიცით, რომ მარტში განაახლეთ სწავლა, როგორ დაახასიათებთ პანდემიამდე და პანდემიის შემდგომ პერიოდს ბავშვებში, ანუ 6 თვე სახლში ყოფნამ რა უარყოფითი თუ დადებითი თვისებები შესძინა მათ? დაბრუნების შემდგომ, იგრძნობოდა თუ არა გაუცხოვება ერთმანეთში ან შენიშნეთ თუ არა უნარების განვითარებაში შეფერხება? როგორ მიმდინარეობდა ონლაინც სწავლების პროცესი? რა იმედებს ამყარებთ, აანაზღაურებენ თუ არა ყველა დანაკლისს და სათანადოდ მომზადებულნი შევლენ თუ არა სკოლაში?

- ჩვენი ჯგუფის სახელია „ფერადი მერცხლები“ და ასაკობრივად 5-6 წლიანთა ბავშვებს აერთიანებს. აქედან 26 აღსაზრდელი მიდის სკოლაში. ისინი უკვე დარეგისტრირდნენ და მომავალ სასწავლო წელს განსხვავებულ ფორმატში გააგრძელებენ სწავლას.

6 თვე ვიყავით სახლში და ბუნებრივია, რომ ეს პერიოდი ყველასთვის რთულად გასავლელი იყო. უპირველესად, ამ მდგომარეობამ რადიკალურად შეცვალა ჩვენი ცხოვრების სტილი. ხალხი პანიკაში ჩავარდა და ამის გამო, ბევრი მშობელი იკავებდა თავს იკავებდა ბავშვის ბაღში მიყვანაზე. საბოლოოდ, ეს ძალიან დიდი დრო აღმოჩნდა იმისთვის, რომ ჩაკეტილობას გარკვეული ცვლილებები მოეხდინა პატარებზე. რაც შეეხება უარყოფით და დადებით მხარეებს. დავიწყებ იქიდან, რომ ბავშვები, რომლებიც მიჩვეულნი იყვნენ ბაღის რეჟიმს, გუნდურ ურთიერთობებს, სახალისო და მრავალფეროვან აქტივობებს, მეგობრებთან თამაშსა და ლაღ ცხოვრებას, უცებ აღმოჩნდნენ ინტერნეტ სივრცის სრულ ვაკუუმში. ვფიქრობ, ამან ძალიან იმოქმედა მათ ემოციურ სამყაროზე, რადგან ბაღში დაბრუნების შემდეგ, ბევრ მათგანს ჰქონდა გაუცხოება. ჩვენთვისაც თითქოს ყველაფერი ახლიდან იწყებოდა, დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა იმისთვის, რომ ჩვეულ რიტმს დავბრუნებოდით. შევიმუშავეთ ჩართულობის ახალი გეგმა, სადაც ბავშვები შეძლებდნენ უმოკლეს დროში ურთიერთობების აღდგენას. კერძოდ, შევადგინეთ მოვალეობების ცხრილი და თითოეული მათგანი ხალისით ინაწილებდა სხვადასხვა დავალებებს, რომელიც ეხებოდა დისციპლინასა და ჯგუფის მოწესრიგებას.

დადებითი მხარის მოძებნა კი ნამდვილად გამიჭირდება, იმიტომ რომ კარგად იცით, როგორი რესურსი სჭირდება ბავშვის განვითარებას. თუნდაც ყველაფერი იყოს ხელმისაწვდომი, მე მაინც მიმაჩნია, რომ თანატოლებთან ურთიერთობასა და მათთან „წაკინკლავებასაც“ კი სულ სხვა დატვირთვა აქვს. სწორედ აქედან ვიწყებთ ურთიერთობების სწავლას, სიტუაციების დალაგებას.

ბავშვები, რომლებსაც სოციალურ-ემოციური უნარები აქვთ განვითარებული, უკეთ იცნობენ საკუთარ თავსა და შესაძლებლობებს, აქვთ საკუთარი თავის, უნარებისა და შესაძლებლობების რწმენა, უკეთესად თანაცხოვრებენ როგორც თანატოლებთან, ასევე უფროსებთან. ასე რომ, ბავშვებისთვის, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია მათი სოციალური ურთიერთობები.

რაც შეეხება უნარებს, ვერ ვიტყვი, რომ პანდემიამ კატასტროფულად შეაფერხა მათი განვითარება, თუმცა, გარკვეულწილად მაინც იმოქმედა. ჩვენ გვქონდა ონლაინ დავალებები, მაგრამ ამ ასაკის ბავშვებისთვის, ვფიქრობ, ეს არ იძლევა სრულფასოვან შედეგს. ონლაინსწავლებისას ვაძლევდით გეგმით გათვალისწინებულ რამდენიმე ვარიანტს და აქედან იმას აკეთებდნენ, რომელიც მოეწონებოდათ. რამდენჯერმე ვიდეოჩანაწერიც გავუგზავნე და ამან უფრო მეტად შემატა ხალისი დავალებების შესრულებას. ყველაფრის მიუხედავად, მაინც აქტიურობდნენ მშობლები, დავალებებს შვილებთან ერთად ხალისიანად აკეთებდნენ.

მართალია, ონლაინდავალებებს ასე თუ ისე ასრულებდნენ ჩვენი აღსაზრდელები, მაგრამ, როგორც სასკოლე მზაობის ჯგუფი, ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერს სრულფასოვნად ეკიდებოდნენ. სამაგიეროდ დაბრუნების მერე ათმაგად ავინაზღაურეთ ყველაფერი. იმდენად ჰქონდათ ინფორმაციის დეფიციტი, რომ საერთოდ არ ბეზრდებოდათ ნებისმიერი აქტივობა. ჩვენც სრული შემართებით შევუდექით ყველა საჭირო აქტივობების მზადებას და იმედი მაქვს, რომ წარმატებით გააგრძელებენ მომდევნო ახალ სასწავლო წელს.

როგორც ყველა სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში, ჩვენთანაც მიიღეს გარკვეული ზომები პანდემიასთან ბრძოლაში. ჰიგიენურ ნორმებს პანდემიამდეც ვიცავდით, თუმცა, პანდემიის მერე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყველა ჯგუფში დამონტაჟდა თერმული წყლის ავზები და ბავშვებს საშუალება აქვთ, თბილი წყლით დაიბანონ ხელები. ყველა ჯგუფს აქვს დეზობარიერი, ხელებს ვიმუშავებთ სპირტიანი ხსნარით, შესაბამის ვადაში ვიცვლით პირბადეებს და ყოველ დილით გავდივართ თერმოსკრინინგს-ამბობს ჩვენთან საუბარში დალი მასწავლებელი და აქვე აღნიშნავს, რომ თითქმის ყოველდღიური გასვლითი მეცადინეობები აქვთ სტადიონზე, სადაც ბავშვები გაათმაგებული ხალისით ერთვებიან აქტივობებში და გარემოსთან ურთიერთობაც განსაკუთრებით მოსწონთ.

ესაუბრა
ელზა ხარაშვილი

ულოცავენ!

ნონა ნატროშვილს! ნოდარ სამადაშვილს!

ჩვენო საყვარელო შვილებო, გული სიხარულიჟ სავსე გვაქვს თქვენი ნანატრი შვილების უტა და ტაისია სამადაშვილების დაბადების გამო. ეს მშვენიერი ბავშვები ჩვენი ბედნიერების წყაროა და ზრუნვა მათი კეთილდღეობისთვის - ჩვენი ვალი. იყავით ბედნიერი მშობლები, გაიხარეთ უფლის წყალობა არ მოგაკლდეთ!

მზია სეხნიაშვილი და ტარიელ ნატროშვილი ოჯახით

სალომე ალადაშვილს! გიორგი გუგენიშვილს!

ჩემო სალომე და გიორგი, გილოცავთ თქვენთვის ყველაზე ბედნიერ, მნიშვნელოვან და ამაღელვებელ - ქორწინების დღეს. ნათქვამია, არავინ არის სრულყოფილი, სანამ არ შეუყვარდება ან არ შეიყვარებენო. სწორედ ამიტომ, თქვენ თამამად შეგიძლიათ იამაყოთ თქვენი სრულყოფილებით. გისურვებთ სიხარულით, სიყვარულითა და ბედნიერებით აღსავსე ცხოვრებას. მე კი მუდამ თქვენს გვერდით მიგულეთ.

საუკეთესო სურვილებით,
ჟუჟუნა ყანჩაშვილი

მადლიერება!

ჩემი და იყო ძალიან მძიმედ - **ნათია ფიროსმანაშვილი**. ოჯახმა ყველაფერი გავაკეთეთ ჩვენი შესაძლებლობიდან გამომდინარე, მაგრამ შეგვექმნა სერიოზული პრობლემები. დახმარებისთვის მივმართეთ ტარიელ და მარინა ღარიბაშვილებს, რომლებმაც ძალიან თბილად მიგვიღეს და გულთან ახლოს მიიტანეს ჩვენი გაჭირვება. მოახდინეს რეაგირება და დღემდე ხელს უწყობენ, რომ გამოაჯანმრთელონ.

მინდა, დიდი მადლობა გადავუხადოთ ტარიელ ღარიბაშვილის ოჯახს ასეთი სიკეთისთვის.

ლია და ნათია ფიროსმანაშვილები

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 14.06	სამშაბათი 15.06	ოთხშაბათი 16.06	ხუთშაბათი 17.06	პარასკევი 18.06	შაბათი 19.06	კვირა 20.06
დღე	28 °	27 °	29 °	29 °	30 °	30 °	30 °
ღამე	16 °	16 °	17 °	16 °	17 °	17 °	17 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი);
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.